



ევროპის  
ენერგეტიკული  
გაერთიანება  
და რეზონანსის  
საქართველოს  
ენერგეტიკაში

**ევროპის  
“ენერგეტიკული გაერთიანება”  
და რეფორმები  
საქართველოს ენერგეტიკაში**

**2017**

წიგნი წარმოადგენს პუბლიკაციების კრებულს, რომელიც მომზადდა ანადიტიკური ცენტრი «მსოფლიო გამოცდიდება საქართველოსთვის» (WEG) მიერ განხორციელებული და ჰაინრიჰ ბიორის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს დაფინანსებული პროექტის «ენერგეტიკული რეფორმების ხედშეწყობა საქართველოში ცნობიერების გაზრდისა და სამოქადაქო სექტორის, მედიისა და საჯარო მოხედვთა შესაძლებლების განვითარებით» ფარგლებში.

ავტორების მიერ წიგნში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიორის ფონდის პოზიციას, შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასაღის შინაარსზე.

**ISBN: 978-9941-0-8487-4**

## შინაარსი

ინფორმაციის და მონაცემების გამჭვირვაღობა ენერგეტიკაში . . . . .	1
ენერგოეფექტურობა შენობებში . . . . .	41
დირექტივა განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ენერგიის გამოყენების ხედშეწყობის შესახებ . . . . .	46
ბუნებრივი გაზის ფასწარმოქმნა საქართველოში და ევროკავშირის ძირითადი მოთხოვნები . . . . .	53
ევროკავშირის კანონმდებრობის ძირითადი მოთხოვნები ენერგეტიკის რეგულირების სფეროში . . . . .	63
ენერგეტიკის სექტორის რეგულირება საქართველოში . . . . .	67
საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების შეფასება MOSES მეთოდიკით . . . . .	73
ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანებიდან ერთი წელის შეფასება . . . . .	82
ტყე, როგორც ენერგეტიკული რესურსი . . . . .	93
ენგურჰესი და აფხაზეთის ენერგომობრუნება . . . . .	103
ენერგეტიკული გაერთიანება და საქართველო . . . . .	114



# ინფორმაციის და მონაცემების გამჭვირვადობა ენერგეტიკაში

მურმან მარგვერაშვილი  
თამარ წურწუმია  
გოგიტა თოდრაძე  
გიორგი მუხიგურიშვილი  
თუთანა კვარაცხელია

**“მსოფლიო გამოცდიდება საქართველოსთვის”**  
**რეცენზები:**ირაკლი ურუშაძე

## აკრონიმები

WTO - ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია

ECT - ენერგეტიკული ქარტიის ხედშეკრუდება

GATT - ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერაცური

შეთანხმება

MFN - უპირატესი ხედშეწყობის რეჟიმი

PPA - ედექტროენერგიის შესყიდვის ხედშეკრუდება

PPP - საჯარო და კერძო პარტნიორობა

GOGC - საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაცია

სემეკი - საქართველოს ენერგეტიკისა და


წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

## შესავადი


ევროკავშირთან ასოცირების ხედშეკრუდების ხედმოწერით და ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანებით საქართველომ აიღო ვადდებულება, განახორციელოს რეფორმები ენერგეტიკის სექტორში და საფუძველი ჩაუყაროს ევროპულ ენერგეტიკულ ბაზართან დაახლოებას. ევროპული ღიბურადური ენერგეტიკული კანონმდებლობის მთავარი მიზანია საბითუმო და საცავო ბაზრებზე ვაჭრობის ხედშეწყობა და ამისთვის მონოპოლიური და კონკურენტული საქმიანობების გაყოფა (ენერგოკომპანიების გადაცემის და დისტრიბუციის საქმიანობების გაყოფა).

კონკურენციის წახადისება და ვაჭრობის ხედშეწყობა ინფორმაციისა და მონაცემების ღიაობას ემყარება. გამჭვირვალობის ნაკვებობა ბაზარზე ხედს უშრის კონკურენციას, ამიტომ მთედი რიგი ევროპული დირექტივების და საერთაშორისო ხედშეკრუდებების მოთხოვნები ეხება სწორედ ინფორმაციისა და მონაცემების გამჭვირვალობას ენერგეტიკაში.

ენერგეტიკის სექტორში გამჭვირვალობის ნაკვებობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების, და მათ შორის საქართველოს, მნიშვნელოვანი პრობელება, სადაც მრავდადა კომერციული საიდუმლოების თუ სხვა მოტივით დახურული ინფორმაცია. 2017 წერს რუსულ კომპანია „გაზპრომ ექპორტან“ გაზის ტრანზიტთან დაკავშირებით შეცვდიდი პირობებით



გაფორმებულმა ხედშეკრულებამ საზოგადოების ხანგრძლივი პროტესტი გამოიწვია, პროცესების გამჭვირვადედ წარმართვისა და მოქადაქეებისთვის სრულყოფიდი ინფორმაციის მიწოდების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, გაფორმებული კონტრაქტი არ გასაკაროვდა. დახურულია გაზის შესყიდვის ხედშეკრულებები და ზოგიერთ ახარი ჰიდროსადგურის დეველოპერებთან დადებული მემორანდუმები, გაუმჯვირვადება პირდაპირი თუ პარტნერის სუბსიდირების სქემები და ა.შ. ინფორმაციის დახურვის საბაბად ხშირად გამოიყენება კონკურენტული ბაზრისთვის დამახასიათებელი მოთხოვნები, რაც საქართველოში, მსგავსი ბაზრის არარსებობის პირობებში, მონოპოლიურ მოთამაშეებს დეგიტიმურ საშუალებას აძღევს სრულად გამოიყენონ თავიანთი უპირატესობა, გაზარდონ მოგება და გააფართოვონ თავიანთი გავდენები. კონკურენტული ბაზრების არქონის პირობებში ინფორმაციის დახურვა, როგორც წესი, ემსახურება არა იმდენად კომერციულად სენსიტიური ინფორმაციის დაცვას, რამდენადაც არაკონკურენტული უპირატესობის შენარჩუნებას ან არაოპტიმადური გადაწყვეტილებების მოქადაქეთაგან დამაღვას. ასეთი გარემო აძლიერებს ეკონომიკური, ენერგეტიკული და ეროვნული უსაფრთხოების რისკებს.



გამჭვირვალობა ანგარიშვადდებულების უზრუნველყოფისა და კორუფციის პრევენციის უმთავრესი წინაპირობაა. დახურული ინფორმაცია განაპირობებს უნდობლობას და უკმაყოფილებას ოფიციალურ პირთა მიმართ, ხშირ შემთხვევაში კი იწვევს ეჭვს პირად დაინტერესებაში, რაც აფერხებს სექტორის მართვას და ქვეყნის სწორ განვითარებას.

ენერგეტიკის სექტორი ერთ-ერთი სფეროა, სადაც „მაღალი დონის“ კორუფციის რისკი არსებობს. მართადია საქართველომ წარმატებით დაძრია წვრილმანი კორუფციის (საჭარო სერვისების სფეროში მექრთამეობის) პრობლემა, მაგრამ გამოწვევად რჩება კორუფციის უფრო კომპლექსური ფორმების პრევენციისა და გამოვლენის ეფექტური მექანიზმების შექმნა. ამიტომ, უკიდურესად მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ხედი მიუწვდებოდეს ინფორმაციაზე და, საჭიროების შემთხვევაში, ჰქონდეს შესაძებლობა გავდენა მოახდინოს პროცესების გამჭვირვადედ წარმართვაზე.

კვდევის მიზანია, მიმოიხიდოს ენერგეტიკის შესახებ ინფორმაციის ხედმისაწვდომობის სფეროში საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები და გააანადიზოს, რამდენად პასუხობს დღეისათვის საქართველოს ენერგეტიკის სექტორის გამჭვირვალობის დონე საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებს.

## კვდევის მეთოდოლოგია

კვდევა ეყრდნობა ენერგეტიკის სექტორში ინფორმაციის გამჭვირვალობასთან დაკავშირებით საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხედშეკრულების, ასევე ევროდირექტივებისა და ქართული კანონმდებლობის ანაღიზს.

ვერგევაში ასევე გამოყენებულია ენერგეტიკის სექტორში მომუშავე საკარო და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენდებთან კონსულტაციების შედეგად მიღებული მონაცემები და კონკრეტული შემთხვევების ანალიზი (Case Study) .

## შემაჳაშებელი მიმოხიღვა


ინფორმაციის საკაროობა და გამჭვირვადობა სახელმწიფო მართვის უმნიშვნელოვანესი პრინციპია. საზოგადოებას აქვს უფრება თავისუფრდად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ეს უფრება აღიარებულია ადამიანის უფრებათა და ძირითად თავისუფრდებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციის, ადამიანის უფრებათა საერთაშორისო სასამართლოს, აგრეთვე, „ადამიანის უფრებათა ევროპული სასამართლოს“ მიერ.

ინფორმაციის თავისუფრდებას და გამჭვირვადობას ენერგეტიკის სექტორში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება რადგან მას გავდენა აქვს როგორც ენერგიის მომხმარებელებზე და მათ პეთიდდობაზე, ისე ენერგეტიკული ბაზრის მონაწილეებსა და ინვესტორებზე, რაც საბოროო ჯამში ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე აისახება.

საქართველოში ინფორმაციის დახურვის საბაბად ხშირად გამოიყენება მონაცემთა კონფიდენციალურობისა და ეკონომიკური საიდუმლოების მოტივები, თუმცა კონკურენტული ბაზრების არასებობის პირობებში, დღეს არსებული პრაქტიკა უფრო მეტად ემსახურება არსებული მონოპოლისტების გავდენების გაძლიერებას ვიდრე ბაზრის მოთამაშეებისთვის თანაბარი პირობების შექმნას.

ენერგორესურსებით ვაჭრობის საერთაშორისო რეგულირების სისტემაში, რომელის ჩარჩოს ქმნის „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის“ (WTO) და „ენერგეტიკული ქარტიის ხედშეკრულების“ (ECT) დებულებები, გამჭვირვადობა ამოსავადი წერტილია. ერთმანეთის სავაჭრო ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის ფრთხილი განაპირობებს სავაჭრო პარტნიორების ურთიერთ ნდობას. „ენერგეტიკული ქარტიის ხედშეკრულების\*“ მიხედვით, კონტრაქტორი მხარეები ვადდებული არიან,\*\* უზრუნველყონ გამჭვირვადობა საერთაშორისო ვაჭრობის ყველა სეგმენტში (ენერგიის წარმოება/ექსპორტი, ტრანზიტი, მოხმარება/იმპორტი). გასათვარისწინებელია, რომ საქართველო ენერგეტიკული ქარტიის და WTO-ს წევრია, შესაბამისად მან უნდა შეასრულოს გამჭვირვადობასთან დაკავშირებული მოთხოვნები. თუმცა ხშირად ინფორმაცია დახურულია კონფიდენციალობისა და კომერციული საიდუმლოების მოტივებით.


საერთაშორისო სავაჭრო სისტემებისგან განსხვავებით, ევროკავშირის კანონმდებლობა - „მესამე ენერგეტიკული პაკეტი“, ორიენტირებულია შიდა ბაზრის მოწყობაზე. აქ მნიშვნელოვანი როდი ენიჭება მომხმარებელთა უფრებების დაცვას და გამჭვირვადობას, რომელის ნაწილებია სუბსიდირების



\* The Energy Charter Treaty

\*\* Part II: Policy Principles Article 3 Basic Principles (f)

სქემების გამჭვირვადობა, ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარების ხედშეწყობის მიზნით განხორციელებული პოდიტიკების ღიაობა, მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის კონტრაქტების ხედმისაწვდომობა, ღია და გამჭვირვადებაზრის და გადართვის წესების არსებობა, ინფორმაციის ხედმისაწვდომობა ენერგიის მოხმარების ზუსტი აღრიცხვის შესახებ და ა.შ.



**სუბსიდირების სქემების გამჭვირვადობა** - ევროკავშირის კანონმდებრობის მიხედვით, აუცილებელია, სოციალური დაცვის მექანიზმები იყოს კარგად დასაბუთებული და მაქსიმალურად გამჭვირვადე, რათა ხედი არ შეუშაძოს ბაზრის ღიბერადიზაციის პროცესს. საქართველოში ენერგეტიკის სექტორში არსებული სუბსიდიების სქემებზე პასუხისმგებელია ენერგეტიკის სამინისტრო, თუმცა არ არის წარმოდგენილი ანგარიშები გაცემული სუბსიდიების ან მათ ეფექტურობის შესახებ. მდგრადი განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის და WEG-ის მიერ ჩატარებულმა კვდევამ ენერგეტიკის სექტორში, 2014 წლის მონაცემებით, ღაახდოებით 500 მილიონ დარტე მეტი სუბსიდიის არსებობა გამოავდინა. ენერგეტიკის სფეროში მთდიანი დაანგარიშებული სუბსიდიები შეადგენს ბიუჯეტის ხარჯვის დაახდოებით 6%-ს, რაც ძალიან მაღარი ციფრია. არსებობს ენერგეტიკული სუბსიდიის სხვა სქემებიც, რომელთა სათანადოდ გაანარიბება შეუძლებელია გაუმჭვირვადე სქემებისა და მონაცემთა ნაკვებობის გამო.

**ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარების ხედშეწყობის მიზნით განხორციელებული პოდიტიკების ღიაობა** - ევროკავშირის კანონმდებრობით, გარდა სუბსიდიებთან დაკავშირებული გამონაკვდისებისა, ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარების ხედშეწყობის მიზნით, სახელმწიფომ შესაძლოა განსაზღვროს ინვესტორების წამახადისებელი მექანიზმები (მაგ: შეღავათიანი ტარიფი (feed in tariff), ქსერზე პრიორიტეტული დაშვება და ა.შ.). თუმცა აღნიშნული მხარდამჭერი მექანიზმები უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვადე. საქართველოში ინვესტორთა წახადისებისათვის მიღებული პრაქტიკაა ჰიდროსადგურების მშენებლობის მიზნით სახელმწიფოსა და ინვესტორებს შორის მემორანდუმების გაფორმება. მემორანდუმების მიხედვით, ჰიდროსადგურების დეველოპერებს სამინისტროსთან მოგაბარაკების საფუძველზე უდგინდებათ გარანტირებული შესყიდვის ვადები და შესაბამისი ტარიფი, თუმცა არ არის მკაფიოდ განმარტებული ტარიფის დადგენის პრინციპები. ასეთი პროცედურა არაკონკურენტული და არაგამჭვირვადება.


**კონტრაქტების ხედმისაწვდომობა მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის** - მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის კონტრაქტების პირობები და სტანდარტები უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვადე. საქართველოში ქსერთან მიერთების წესები და პროცედურებიც მოცემულია როგორც სემეკის, ასევე გამანაწილებელი კომპანიების ვებ გვერდებზე. ქსერთან მიერთების წესები, ფასები და

შესაბამისი ხედშეკრუდებებიც არის გამჭვირვადე, თუმცა პრობლემურია საყოფაცხოვრებო სექტორისათვის, გაზის შესყიდვის ხედშეკრუდებების გამჭვირვადობა და კომერციულ სექტორში ტარიფების დადგენის პრინციპები.

**ღია და გამჭვირვადე გადართვის წესების არსებობა** - ევროკავშირის კანონმდებრობის მიხედვით, საცავო ბაზარზე კონკურენციის ხედშეწყობის მიზნით, მნიშვნელოვანია მომხმარებელს ჰქონდეთ სხვადასხვა მიმწოდებელს შორის არჩევანის თავისუფება, ამისათვის კი საჭიროა გააჩნდეთ წვდომა ღია და გამჭვირვადე გადართვის წესებზე, რომელის შემუშავებაზე და განხორციელების მონიტორინგზე პასუხისმგებელია მარეგულირებელი ორგანო. საქართველოს კანონმდებრობმა ამ კუთხით შეესაბამება ევროკავშირის კანონმდებრობას, თუმცა კონკურენტული ბაზრის არარსებობის გამო, რეგურად, მომხმარებელებს არ აქვთ არჩევანის შესაძებლობა.

**ინფორმაციის ხედმისაწვდომობა ენერგიის მოხმარების ზუსტი აღრიცხვის შესახებ** - ევროკავშირის ბუნებრივი გაზისა და ედექტროენერგიის ბაზრების შესახებ კანონმდებრობისა და ენერგოფექტურობის დირექტივის მიხედვით, მომხმარებელს უფება აქვს ჰქონდეს ინფორმაცია საკუთარი მოხმარების ზუსტი აღრიცხვის შესახებ და ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით იფიქროს ენერგიის მოხმარების შემცირებაზე. საქართველოში მომხმარებელის ინფორმირება საკუთარი მოხმარების აღრიცხვის შესახებ ხორციელდება გამჭვირვადედ, მიმწოდებელი კომპანიების მიერ ყოველთვიურად დაგზავნიდი ქვითრებით, როგორც ედექტროენერგეტიკის, ისე ბუნებრივი აირის სფეროში. ქვითრებზე მოცემულია ინფორმაცია მოხმარებული ენერგიის რაოდენობის და ფასის შესახებ როგორც ყოველ მოხმარებულ ერთეულზე, ისე - ჯამურად ერთი თვის განმავლობაში.

**ენერგეტიკული ბაზრების დიბერადიზაცია** ევროკავშირის კანონმდებრობის უმთავრესი მოთხოვნაა. დიბერადიზაცია გუდისხმობს ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიების არარსებობას და მონოპოლიური და კონკურენტული საქმიანობების გაყოფას. საქართველოში ენერგეტიკული ბაზარი არ ემყარება სრული კონკურენციის პრინციპებს, გამანაწილებელი კომპანიები ამავდროულად არიან საბითუმო და საცავო მიმწოდებელი და მომხმარებელს არჩევანის გაკეთების შესაძებლობა არ აქვს. თუმცა 2017 წლის მარტში, ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნომ მოამზადა ენერგეტიკის შესახებ კანონპროექტი, რომელიც განსაზღვრავს ედექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის რეგულირების ახარ, ევროკავშირის კანონმდებრობასთან შესაბამის პრინციპებს. ბაზრის ახარი მოდერის სირთულის და მასშტაბურობის გათვალისწინებით, რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია, რომ პროცესები მიმდინარეობდეს ღია და გამჭვირვადედ და მასში მონაწილეობდნენ როგორც გადამცემი თუ გამანაწილებელი კომპანიების, ასევე ენერგეტიკის სამინისტროს,



მარეგულირებელი კომისიის და სხვა დამოუკიდებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები.


**მარეგულირებელი ორგანოს საქმიანობის გამჭვირვადობა-** ევროკავშირის დირექტივები მარეგულირებელ თრგანოებს განუსაზღვრავს უფრებამოსიდებას და ტექნიკური შესაძლებლობებს გაუწიონ მონიტორინგი ბაზრის სუბიექტების მიერ გამჭვირვადობისა და კონკურენციის პრინციპების დაცვას. საქართველოში ენერგეტიკის სექტორის რეგულირება ენერგეტიკისა და წყადმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკი) კომპეტენციაა. კომისია თავის საქმიანობას წარმართავს გამჭვირვადედ, თუმცა 2006 წლის საკანონმდებლო ცვდიდებებით სექტორის რეგულირების ფუნქციების მნიშვნელოვანი ბერკეტები გადაცა ენერგეტიკის სამინისტროს, რითაც სემეკი პრაქტიკულად დაექვემდებარა მრავდობით არასისტემურ და სუბიექტურ ცვდიდებას. სემეკის ფუნქციად განისაზღვრა მხოლოდ ბაზრის მონიტორინგი და არა ბაზრის წესების დადგენა.

ინფორმაციის თავისუფლებისა და გამჭვირვდობის კუთხით, სემეკზე ასევე სრულად ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავის 49-ე მუხლით განსაზღვრული მოთხოვნა ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით. კომისია ვადებულია გასცეს მოთხოვნიდი ინფორმაცია დაუყოვნებელი ან 10 დღის ვადაში. სემეკი ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ სადაც დეტალურად აღწერს საჯარო ინფორმაციის გაცემის კუთხით არსებულ ვითარებას.

ასოცირების ხედშეკრულების და ენერგეტიკული გაერთიანების გაშევრიანების ოქმით ნაკისრი ვადებულებების შესრულება ენერგეტიკის სექტორში მნიშნელოვან რეფორმებს ითვარისწინებს, რაც ინფორმაციისა და მონაცემების გამჭირვადობის გარეშე ვერ განხორციელდება. მნიშნელოვანია საზოგადოებამ მაქსიმალური ძალისხმევა მიმართოს იქითვენ, რომ ჩამოყალიბებეს და ამოქმედდეს ენერგეტიკულ ბაზრებზე რეალური კონკურენციის მექანიზმები და მოხდეს მათი მკაცრი გამიჯვნა ბუნებრივად მონოპოლიური საქმიანობისგან; აუცილებელია, ასევე, მოხდეს სექტორის მართვის და რეგულირების უფრებამოსიდებათა გადანაწილება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად და ჩამოყალიბდეს დარგის მართვის სტრატეგიული პრიორიტეტები, პროცედურები და სახელმძღვანელო პრინციპები.

## **ინფორმაციის თავისუფლების და გამჭირვადობის მნიშვნელობა ენერგეტიკაში**

„ინფორმაციის თავისუფლება არის საზოგადოების ფუნდამენტური უფრება და მთავარი ბარომეტრი ყველა თავისუფლებას შორის, რომელსაც ეფუძნება „გაერო“. გაერთიანებული ერების გენერაციური ასამბლეის 1946, რეზოლუცია 59(I).



საზოგადოებას აქვს უფრება თავისუფრებად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია. ეს უფრება აღიარებულია ადამიანის უფრებათა და ძირითად თავისუფრებათა დაცვის საერთაშორისო კონვენციის, ადამიანის უფრებათა საერთაშორისო სასამართლოს, აგრეთვე, „ადამიანის უფრებათა ევროპული სასამართლოს“ მიერ.


სახელმწიფო მართვა ინფორმაციის საჯაროობას ემყარება, რაც სრულიად განსხვავდება კომერციული ინტერესების მქონე ორგანიზაციებისგან, სადაც ინფორმაცია შეიძლება იყოს დახურული ბიზნესის ინტერესების გათვაღისწინებით. მართადია, არ არსებობს საერთაშორისო სტანდარტი, თუ როგორ უნდა მოხდეს საჯარო ინფორმაციის ხედმისაწვდომობის უზრუნველყოფა, თუმცა ზოგადი მიღომები ყველგან საერთოა და ემყარება შემდეგ პრინციპებს:

- საჯარო სტრუქტურების ხედთ არსებული ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო, თუ სახელმწიფო არ ასაბუთებს მისი დახურულობას.
- ინფორმაციის დახურვის მტკიცების ტვირთი ეკისრება სახელმწიფოს, ინფორმაციის მოთხოვნისას მოქადაქეს არ აქვს ვარდებულება განმარტოს, რისთვის სჭირდება ესა თუ ის ინფორმაცია.
- მთავრობამ, მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაშიც, პროაქტიულად უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია\*

ინფორმაციის მიღების და გავრცელების თავისუფრება შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს ან სანქციებს, რომელიც გათვაღისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთღიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვთად, ჟანმრთელობის ან მორადის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფრებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხედისუფრების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლის უზრუნველსაყოფად,\*\* სხვა შემთხვევაში ინფორმაცია უნდა იყოს ღია და ხედმისაწვდომი.

**მოქადაქეთა უფრებაა აკონტროლონ,** რამდენად ეფექტურად არის დაცული მათი და ქვეყნისა ინტერესები მთავრობის საქმიანობაში, რამდენად მიზანშეწონიდი და ეფექტიანია მიმდინარე და მომავარი საბიუსესტო ხარჯები, რამდენად ოპტიმალურია დადებული შეთანხმებები და გარიგებები და რამდენად შეესაბამება სახელმწიფო ღონისძიებები და პორიტიკა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს, და ა.შ.

უფრო კონკრეტული, სპეციფიური ინფორმაცია ეხება ენერგიის მომხმარებელს (საყოფაცხოვრებო მომხმარებელს და იურიდიულ პირებს), ასევე ენერგეტიკულ ბაზარზე მოქმედ კომპანიებსა და ინვესტორებს. ჩამოთვდიდი ზგუფებისათვის ინფორმაციისა და მონაცემების ხედმისაწვდომობას



\* The Public's Right to Know: Principles on FOIA Legislation, the Article 19 Principles, London 1999,

\*\* „ადამიანის უფრებათა და ძირითად თავისუფრებათა დაცვის კონვენცია“ მუხლი 10

განსხვავებული მნიშვნელობა აქვს:

- **ენერგიის მომხმარებელთა უფდებაა** მიიღონ ხარისხიანი ენერგია და მომსახურება ოპტიმარულ ფასად, რისთვისაც საჭიროა იცოდნენ, რამდენ ენერგიას მოიხმარენ, რამდენს იხდიან და რა მომსახურებაში; არიან თუ არა სუბსიდირების ობიექტი და ოპტიმარულია თუ არა ენერგოკომპანიების მიერ ჩადებული ინვესტიციები, რომელთა ანაზღაურებაც მათ უწევთ ტარიფით. ამ ინფორმაციის ხედისაწვდომობა არის წინაპირობა, რომ მომხმარებელებმა (როგორც საყოფაცხოვრებო, ასევე კერძო სექტორში) ეფექტურად დაიცვან თავიანთი ინტერესები.

- **ენერგეტიკული ბაზრების მონაბირეთა უფდებაა** ჰქონდეთ არადისკრიმინაციულ, კონკურენტულ გარემოში საქმიანობის შესაძლებლობა. ინფორმაციის გამჭვირვადობამ უნდა უზრუნველყოს თანაბარი პირობების შექმნა ბაზრის მოთამაშეებისათვის, რათა რომელიმე მონაბირემ არ ისარგებლოს უპირატესი მდგომარეობით, რითაც შეზღუდავს კონკურენციას და დააბარადებს მომხმარებელთა ინტერესებს.


- **პოტენციური ინვესტორებისათვის აუცილებელია** გამჭვირვადე გარემო და ინფორმაციის ხედისაწვდომობა, იმისთვის, რომ თანასწორ, პროგნოზირებად საინვესტიციო გარემოში იმოქმედონ. გამჭვირვადობა საინვესტიციო გარემოს სტაბილურობას განაპირობებს და იცავს ინვესტორს მოუღონები ცვდილებისგან. გამჭვირვადე გარემო მიმზიდვები ხდება კვადიფიციური, სტრატეგიული ინვესტორისთვის.

სწორედ აღნიშნული ინტერესების დაცვას ემსახურება გამჭვირვადობის პრინციპები როგორც საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში, ასევე ევროკავშირის კანონმდებლობის ფარგლებში.

### **ინფორმაციის გამჭვირვადობის მნიშვნელობა ენერგეტიკული უსაფრთხოებისათვის**

ენერგეტიკა სტრატეგიული დარგია რომელსაც ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში უმნიშვნელოვანესი ადგიდი უჭირავს. საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებს თავიანთი ეკონომიკური და პოდიტიკური ინტერესები გააჩნიათ, ქვეყნის ეკონომიკა კი ღიაა მათი გავრენების მიმართ. უცხო ქვეყნების სახელმწიფო თუ კერძო კომპანიები საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში ზოგჯერ კრიტიკულ დაბადები წიდებს ფინანსურებს. ზოგიერთი მათგანი არ გამოირჩევა დემოკრატიული თავისუფდების და გამჭვირვადეობის მაღალი ხარისხით, თავიანთი ინტერესების გატარებისას კი შესაძლოა გამოიყენონ არადემოკრატიული მეთოდები.

საქართველოს ენერგეტიკული კანონმდებლობა მრავალ შეიცავს ბუნდოვან და წინააღმდეგობრივ დებულებებს, რაც მისი განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძევა. ასევე, ტრადიციად არის ქცეული ერთპერადი საჭიროებებისთვის კანონმდებლობის ხშირი და უსისტემო ცვდილებები, რაც ქმედებების თითქმის სრულ თავისუფდებას



იძღვა.

ბევრ შემთხვევაში კრიტიკული მნიშვნელობის გადაწყვეტილებები შეიძლება დაექვემდებაროს რომელიმე უფრებამოსიდი პირის სუბიექტურ შეხედულებას და არა წინასწარ მომზადებულ პრიორიტეტებს და შეთანხმებულ სტრატეგიებს.

უსისტემო ცვდიდებების მაგარითები მრავდად არის საქართველოს ენერგეტიკულ კანონმდებლობაში, განსაკუთრებით, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ნებართვების გაცემის და მემორანდუმების პირობებში. მაგარითად,

- საქართველოს კანონით ეღექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ, მცირე სიმძღავრის ეღექტროსადგურის განისაზღვრებოდა როგორც ეღექტროსადგური, რომელის საპროექტო სიმძღავრე არ აღემატება 13 მეგავატს (და არა 15, 20 ან 30). აღნიშნული მუხლი სავარაუდოდ ერთი კერძო ინტერესით იყო განპირობებული, რისი შენიდგვის მცდელობაც კი არ ყოფილა.

- ახალი სადგური განიმარტებოდა როგორც სადგური რომელიც 2008 წლის შემდეგ აშენდა და რომელსაც მინისტრი განსაზღვრავს როგორც ახალ სადგურს.

- დიდი თავისუფლებაა სამინისტროს მიერ ჰიდროსადგურების დეველოპერისთვის მემორანდუმებით განსხვავებული პირობების დაწესების მხრივ როგორც ტარიფების, ასევე საბანკო გარანტიების მოცულობის კუთხით. რაც მათ არათანაბარ პირობებში აყენებს და ეჭვებს წარმოშობს.


- გაუმჯობესება გარემოს შექმნის მაგარითი იყო 2007 წელს გამოცხადებული ე.წ. დერეგულირება გაზის სექტორში, როდესაც გაზის მომხმარებელი იურიდიული პირები პირისპირ დარჩნენ მონოპოლიურ გაზის მომწოდებელთან.

ასეთი პრეცენტულები დამატიანებელია არა მხოლოდ მომხმარებელის ინტერესებისათვის, არამედ ზრდის არაფორმაციური ურთიერთობების საფრთხეს და პოდიტიკური თუ კორუფციული ზეგავლენებისთვის შეიძლება იყოს გამოყენებული.

საქართველო არ გამოირჩევა მაღარპროფესიული სახელმწიფოებრივი მმართველობის ტრადიციით და ძიერი უსაფრთხოების სისტემებით, რაც შესაძლო შეცდომების და გარე თუ შიდა ინტერესების ჭაფულების გავრენებისგან დაცვის საშუალება იქნებოდა. ქვეყნის გრძელვალიანი ინტერესების და ფასეულობების დასაცავად აუცილებელია დამატებითი უსაფრთხოების მექანიზმების არსებობა, რომელთაგან ერთერთი მთავარი არის სახელმწიფოს ანგარიშვარდებულება მოქადაქების მიმართ, რაც ინფორმაციის და პორცეფურების გამჭვირვალობის გარეშე ვერ განხორციელდება.

**გამჭვირვალობის პრინციპები ენერგეტიკის საერთაშორისო სავაჭრო სისტემაში**

ენერგორესურსებით ვაჭრობის საერთაშორისო რეგულირების




სისტემის ჩარჩოს ქმნის „ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის“ (WTO) და „ენერგეტიკული ქარტიის ხედურულების“ (ECT) დებულებები, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენერგორესურსებით ვაჭრობისათვის აუცილებელ გამჭვირვაღობის მოთხოვნებს. გრძელადური ბაზრის პირობების და ტენდენციების შესახებ ინფორმაციის გამჭვირვაღობა და ხედმისაწვდომობა სტაბილური და კონკურენტულ სავაჭრო გარემოს აუცილებელი ერთობლივია. ერთმანეთის სავაჭრო ურთიერთობების შესახებ ინფორმაციის ფინანსურირება განაპირობებს სავაჭრო პარტნიორების ურთიერთ ნდობას.

ეროვნულ დონეზე სავაჭრო პოდიტიკის გატარებისას მთავრობებისთვის სავადებულოა გამჭვირვაღობის შესახებ WTO მოთხოვნების შესრულება, რაც თავის მხრივ ეყრდნობა წინამორბედი „ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმების“ (GATT) დებულებებს. GATT მე-10 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოები ვადებული არიან უზრუნველყონ იმ სამთავრობო აქტების გამჭვირვაღობა, რომელიც გავდენას ახდენს სავაჭრო ურთიერთობებზე, როგორც წევრ ქვეყნებს შორის, ასევე, კერძო პირებსა და კომპანიებს შორის. ეს მოთხოვნა, ვრცელდება არა მარტო WTO წევრებზე, არამედ „სხვა პირებზეც“, რათა მათ ჰქონდეთ სათანადო ინფორმაცია, მათ შორის, საბაჟო კონტროლის ზომების შესახებ.

„ენერგეტიკული ქარტიის ხედურულების\*“ მიხედვით, კონტრაქტორი მხარეები ვადებული\*\* არიან, უზრუნველყონ გამჭვირვაღობა საერთაშორისო ვაჭრობის ყველა სეგმენტში (ენერგიის წარმოება/ექსპორტი, ტრანზიტი, მოხმარება/იმპორტი). ხედურულების მე-20 მუხლი, GATT მე-10 მუხლის მსგავსად, მოითხოვს წევრი ქვეყნებისგან, რომ უზრუნველყონ „ყველა რეგულაციის, სასამართლო გადაწყვეტილებისა და ზოგადი გამოყენების ადმინისტრაციული წესების გამჭვირვაღობა „მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის“ მოთხოვნების შესაბამისად\*\*\* ამასთან, აუცილებელია ნებისმიერ ენერგეტიკულ პროდუქტის ან ნედლეულის იმპორტება ექსპორტება დაწესებული ნებისმიერი „სხვა გადასახადის ან საფასურის“ გამჭვირვაღობა,\*\*\*\* რაც უნდა აისახოს შესაბამის დოკუმენტებში (Tariff Record\*\*\*\*\*).

გასათვადისწინებელია, რომ საქართველო ენერგეტიკული ქარტიის და WTO-ს წევრია, შესაბამისად მან უნდა შეასრულოს გამჭვირვაღობასთან დაკავშირებული მოთხოვნები. თუმცა ხშირად ინფორმაცია დახურულია კონფიდენციალობისა და კომერციული საიდუმლოების მოტივებით.

აღსანიშნავია, რომ არც GATT მე-10 და არც „ენერგეტიკული ქარტიის ხედურულების“ მე-20 მუხლი არ განმარტავს „კონფიდენციალური ინფორმაციის“ კრიტერიუმებს, თუმცა ანაღიზისათვის შეიძლება გამოვიყენოთ მისი ძირითადი პრინციპის - „უპირატესი ხედურულების რეჟიმის“ (Most Favoured Nation -(MFN)) დაცვა. GATT-ის 1 მუხლის მიხედვით, როდესაც WTO-ს ან „ენერგეტიკული ქარტიის“



\* The Energy Charter Treaty

\*\* Part II: Policy Principles Article 3 Basic Principles (f)

\*\*\* 29 (2)(a)Trade in Energy Materials and Products and Energy-Related Equipment between Contracting Parties at least one of which is not a member of the WTO shall be governed, subject to subparagraph (b) and to the exceptions and rules provided for in Annex W, by the provisions of the WTO Agreement, as applied and practised with regard to Energy Materials and Products and Energy-Related Equipment by members of the WTO among themselves, as if all Contracting Parties were members of the WTO

\*\*\*\* listed in Annex EM II or Energy Related Equipment listed in Annex EQ II


\*\*\*\*\* Annex W: Exceptions and Rules Governing the Application of the Provisions of the WTO Agreement (B)

რომელიმე წევრი ქვეყანა ანიჭებს რაიმე უპირატესობას ან პრივიდეგიას, რომელიმე ქვეყნის ენერგეტიკულ პროდუქტს, მან ეს პრივიდეგია, აგრეთვე, უნდა გაავრცელოს სხვა წევრი ქვეყნების მსგავს პროდუქტები („like products“). ანუ MFN პრინციპის დაცვით უნდა აღიკვეთოს შესაძღვრ დისკრიმინაცია იმპორტირებულ და ექსპორტირებულ პროდუქტებე, მიუხედავად მათი წარმოშობისა და დანიშნულებისა. იგივე მიღვმა ვრცელდება ენერგიის ტრანზიტე, როგორც ენერგორესურსების ვაჭრობის მთავარ შემადგენერ ნაწილებე.

საქართველოს კანონმდებრობის მიხედვით კომერციულ საიდუმლოებას განეკუთვნება „ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონდის საწარმოებრად, მოსამზადებრად, გადასამუშავებრად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომელის გამუღავნებამ შესაძღოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას“ ტრანზიტის საფასური არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც კომერციული საიდუმლოება, რადგან ის არ ეხება პროდუქტს.

ტრანზიტის საფასურის გამჭვირვადობის კუთხით მაგადითად შეიძლება მოვიყვანოთ „გაბპრომ ექსპორტან“ დადებული ხედშეკრულება რუსული გაზის სომხეთში ტრანზიტთან დაკავშირებით, რომელიც 2017 წელს შეცვდიდი პირობებით შევიდა ძაღლში. გაზის ტრანზიტის საფასური, 1991 წლიდან მოყოდებული, გატარებული გაზის ოდენობის 10%-ით განისაზღვრებოდა, ახადი პირობების მიხედვით კი ეს საფასური თანხობრივ ანაზღაურებაზე გადავიდა. რამდენს მიიღებს ქართული მხარე გატარებული გაზის სანაცვლოდ უცნობია საზოგადოებისათვის, რადგან თანხის ოდენობა კომერციულ საიდუმლოდ განისაზღვრა, თუმცა გაკეთდა მინიშნებები, რომ საქართველო იძულებული იყო დათანხმებოდა ფინანსური კუთხით გაუარესებულ მოთხოვნას. საზოგადოების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, კონტრაქტი არ გასაჭაროებულა.

სომხეთში რუსული გაზის ტრანზიტის გასაიდუმლოებული ფასი არ იძევა შესაძღებრობას დადგინდეს, იცავს თუ არა საქართველო „უპირატესი ხედშეწყობის რეჟიმის“ (MFN) პრინციპებს და აყენებს თუ არა თანაბარ პირობებში სხვადასხვა კომპანიას ენერგოპროდუქტების ტრანზიტისას. ტრანზიტის საფასურის კონფიდენციალურობა ტოვებს ეჭვის შესაძღებრობას, რომ საქართველომ ან გაუმართდებედი დათმობები გააკეთა ან მომავარში შეიძლება მოინდომოს სხვადასხვა დაინტერესებული მხარისთვის განსხვავებული პირობების შეთავაზება; ანუ ტრანზიტის გამოიყენოს პოდიტიკურ-ეკონომიკური მანიპულირების ან კორუფციული გარიგებების საგნად.



დაცვისთვის რათა ტრანზიტის სერვისით დაინტერესებულ მესამე მხარეს ჰქონდეს ინფორმაცია იმაზე, თუ რამდენად არადისკრიმინაციულ, საიმედო და პროგნოზირებად პირობებს სთავაზობს რომელიმე კონკრეტული ქვეყანა ენერგოპროდუქტით ვაწრობისთვის. ამიტომ, ენერგოპროდუქტების ტრანზიტის საფასური არ უნდა განისაზღვრებოდეს როგორც კომერციული საიდუმლოება.


შედარებისთვის შეიძლება განვიხილოთ სამხრეთ კავკასიური მიდსადენით ბუნებრივი გაზის ტრანზიტის ხედშეკრულება, რომელის პირობები ღია და ხედმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის. სამხრეთ კავკასიური მიდსადენის მართვას ახორციელებს შაჺ დენიზის საერთაშორისო კონსორციუმი, რომელთანაც საქართველოს დადებული აქვს ორი ხედშეკრულება. ერთი ხედშეკრულება ეხება ე.წ. „ოფციური“ გაზის ყიდვას, რომელის მიხედვითაც საქართველოს შეუძლია, სატრანზიტო გადასახადის სახით, მიიღოს აზერბაიჯანიდან თურქეთში საქართველოს ტერიტორიის გავრით ტრანსპორტირებული ბუნებრივი გაზის მოცულობის 5% ან აიღოს შესაბამისი სტანდარტებით დადგენიდი თანხა გაზის ტრანზიტისათვის, თუმცა, საქართველო ამჟობინებს გაზის მიღებას. ამ ხედშეკრულების ამონურვის ვადაა 2066 წერი.

გარდა ამისა, საქართველოს შეუძლია შაჺ დენიზის საერთაშორისო კონსორციუმიდან, სპეციალურ ფასად, 55 დორარად (პროცენტული ნაზრდით) ყოველი გატარებული 1000 მ3-სათვის, იყიდოს „დამატებითი“ გაზი არა უმეტეს 500 მ3-სა. ამ კონტრაქტის ვადა არის 2025 წერი.

### ევროკავშირის მოთხოვნები ენერგეტიკაში ინფორმაციის გამჭვირვალობაზე და საქართველოში არსებული ვითარება

საერთაშორისო სავაჭრო სისტემებისგან განსხვავებით, ევროკავშირის კანონმდებლობა - „მესამე ენერგეტიკული პაკეტი“, ორიენტირებულია შიდა ენერგეტიკული ბაზრის მოწყობაზე. მესამე ენერგეტიკული პაკეტი მოიცავს ორ დირექტივასა და სამ რეგულაციას: 2009/72/EC დირექტივა ედექტროენერგიის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ; 2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ; 714/2009 რეგულაცია ედექტროენერგიით ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ქსერზე დაშვების შესახებ; 715/2009 რეგულაცია ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსერზე დაშვების შესახებ; 713/2009 რეგულაცია ენერგეტიკის მარეგულირებელთა თანამშრომელის სააგენტოს (ACER) დაფუძნების შესახებ.

პირველ და მეორე ენერგეტიკული პაკეტებისაგან განსხვავებით, მესამე ენერგეტიკული პაკეტი მეტყურადღებას ამახვილებს მომხმარებელთა დაცვაზე, ენერგეტიკულ ბაზრებზე კონკურენციის გაზრდასა და დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს ჩამოყალიბებაზე. ედექტროენერგიისა და გაზის ბაზრების შესახებ დირექტივები\*



\* Directive 2009/73/EC, Chapter IX, Retail Market, Article 45. Directive 2009/72/EC, Chapter X, Retail Market, Article 41

აყავიბებს ბაზრების ფუნქციონირების და ანგარიშვაღდებულების სისტემის საერთო წესებს, რაც გუდისხმობს ბაზრის მონაწილეების (გადამცემი და განაწილების სისტემის ოპერატორების, მიმწოდებელისა და ბაზრის სხვა მონაწილეების) მიერ მონაცემთა გაცვდას და ინფორმაციის გამჭვირვაღობის ხედშეწყობით კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრების ჩამოყალიბებას.

საქართველოს ედექტრობის და გაზის ბაზრები საკმაოდ განსხვავდება თავისუფაღი, კონკურენტული გარემოსგან. საქართველოში მხოდნი ნაწილობრივ მოქმედებს, კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრების დამახასიათებელი მონაწილეთა ინტერესების დაცვის მექანიზმები, ამიტომ აუცილებელი ხდება მეტი გამჭვირვაღობის მოთხოვნა სახედმწიფო საწარმოების და ენერგეტიკის სამინისტროსგან, რომებიც ჰქონია აკონტროლებენ ედექტრობის და გაზის ბაზრის მნიშვნელოვან ნაწილს.

### **მომხმარებელთა უფრებების დაცვა და გამჭვირვაღობა**


ბაზრის გამჭვირვაღობა კომერციული არაკეთიდ-სინდისიერებისგან მომხმარებელის დაცვას ემსახურება. თუ ბაზარზე არჩევანისა და ნდობის სიმცირეა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ენერგიაზე ფასები იზრდება, მომხმარებელმა შესაძლოა მოითხოვონ პოდიტიკური ჩარევა, რაც არაეფექტურია და არასასურველია როგორც ბაზრის, ისე ქვეყნის განვითარებისთვის.

იმისათვის, რომ ბაზარი დაცული იყოს კონკურენციაზე სახედმწიფოს პირდაპირი ან ირიბი ზეგავდენისგან, ევროკავშირის ედექტროენერგიისა (2009/72/EC) და ბუნებრივი გაზის (2009/73/EC) დირექტივები განსაზღვრავს მომხმარებელთა უფრებებისა და გამჭვირვაღობის დაცვის დეტალურ დებულებებს, რითაც უნდა იხედმდვანედონ მთავრობებმა სუბსიდირების მექანიზმების შემუშავებისას.

### **სუბსიდირების სქემების გამჭვირვაღობა**

სუბსიდირების საკითხს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენერგეტიკულ პოდიტიკაში და ევროკავშირის კანონმდებრობაშიც, რადგან არასწორმა სუბსიდირებამ შეიძლია გიანი მიაყენოს ბაზრის ფუნქციონირებას, გამოიწვიოს საზოგადოებრივი სახსრების არაეფექტური ხარჯვა, გაზარდოს ენერგიის მოხმარება და გარე წყაროებზე დამოკიდებულება, ხედი შეუშაძლოს ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნიკოგიების გავრცელებას, გაზარდოს სათბურის გაზების ემისია და სხვ.

ევროკავშირის კანონმდებრობა ითვარისწინებს სახედმწიფოს ვარდებულებას დაეხმაროს სოციადურად დაუცველ მოსახდეობას. დირექტივის მიხედვით, ბაზრის ღიბერადიზაციის პროცესში, სახედმწიფო შესაძლოა შეიმუშაოს სოციადური დაცვის მექანიზმები გარკვეული მომხმარებელისათვის\* (მოწყვდადი



\* მუხდი 3, დირექტივა 2009/72/EC და 2009/73/EC

მომხმარებლების\* ჩათვდით). ამავდროულად, სოციალური დაცვის მექანიზმები უნდა იყოს კარგად დასაბუთებული და მაქსიმალურად გამჭვირვადე, რათა ხედი არ შეუშაძოს ბაზრის ღიბერადიზაციის პროცესს. ევროკავშირის მოთხოვნებით, გარდა აღნიშნული გამონაკრისებისა, დაუშვებელია სახედმშიფოს მხრიდან რაიმე ფორმით (რომელიმე კომპანიის ან რომელიმე პროდუქტის სასარგებლოდ) ჩარევა ბაზარზე, რომელიმე მონაწილის/პროდუქტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

**საქართველოში ენერგეტიკის სექტორში არსებული სუბსიდიების სქემებზე პასუხისმგებელია ენერგეტიკის სამინისტრო, თუმცა გაცემული სუბსიდიების ან მათ ეფექტიანობის შესახებ ანგარიშგება არ ხდება. მდგრადი განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტის და WEG-ის მიერ 2017 წერს ჩატარებულმა კვდევამ ენერგეტიკის სექტორში, 2014 წელს მონაცემებით, დაახლოებით 500 მილიონ გარზე მეტი სუბსიდიის არსებობა გამოავრინა.\*\***

საცურადოებოა ის ფაქტიც, რომ სუბსიდირების სქემები წარმოადგენს არა დაგეგმილი და კარგად გააჩრებული და გამჭვირვადე ეკონომიკური პოდიტიკის შედეგს, არამედ ხშირად ერთჯერადი, კერძო გადაწყვეტილებების შედეგია და სახედმშიფო ინსტიტუტების და პოდიტიკის სისუსტეს აჩვენებს. მაგარითად, არსებული სუბსიდიების სქემებია:

- ბუნებრივი გაზის საბაზროზე დაბარი ფასით მიწოდება თბოედექტორსადგურებისთვის და გაზის გამანაწილებელი კომპანიებისთვის, რაც ემსახურება საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის ედექტორენერგიისა და გაზის ტარიფების დაბარ ნიშნულზე ხედოვნურად შენარჩუნებას. ამ სუბსიდიის მოცულობა წილურად 350 მილიონ გარს აღემატება, რაც მნიშვნელოვნად ამძაფრებს სოციალურ უთანასწორობას, რადგან მდიდარი მომხმარებლებისთვის ბევრად მეტი სარგებელი მოაქვს, ვიდრე სოციალურად დაუცველებისთვის, რომელიც ნაკრებ ენერგიას მოიხმარენ.
- სახედმშიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიურად დაახლოებით 5 მილიონი გარი იხარჯება ყაზბეგის და დუშეთის მუნიციპალიტეტების ოჯახებისთვის ზამთრის პერიოდში უფასო გაზის მიწოდებაზე. გარდა ამისა, ედექტორენერგია უფასოდ მიეწოდება სვანეთის რეგიონს. შედეგად კი მომსახურების ხარისხი (სიმძღვრე და ძაბვა) ძარიან დაბარია, რადგან სახედმშიფო და სადისტრიბუციო კომპანია არ არის დაინტერესებული მომსახურების გაუმჯობესებით და მეტი მოცულობის ედექტორენერგიის მიწოდებით.

ენერგეტიკის სფეროში მთდიანი შეფასებული სუბსიდიები შეადგენს ბიუჯეტის ხარჯვის დაახლოებით 6%-ს, რაც ძარიან მაღარი მაჩვენებელია. არსებობს ენერგეტიკული სუბსიდირების სხვა, დაფარული სქემებიც, რომელთა სათანადოდ გაანადიზება შეუძღვებელია გაუმჯვირვადე სქემებისა და მონაცემთა ნაკრებობის გამო.

ევროკავშირის კანონმდებლობით, გარდა სუბსიდიებთან



\* მოწყვდადი მომხმარებლები დაკავშირებულია იმ მომხმარებლებთან, რომელებიც საჭიროებენ სოციალური დაცვის მექანიზმებს სახედმშიფოსგან, დი-რექტივა 2009/72/EC (პარაგრაფი (53)) და დირექტივა (2009/73/EC, პარაგრაფი (50))


\*\* „ენერგეტიკული სუბსიდიების აღმოსავალეთ პარტნიორობის ქვეყნებში“ WEG, 2017

დაკავშირებული გამონაკვდისებისა, ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარების ხედშეწყობის მიზნით, სახელმწიფომ შესაძლოა განსაზღვროს ინვესტორების წამახადისებები მექანიზმები (მაგ: შეღავათიანი ტარიფი (feed in tariff), ქსერბე პრიორიტეტული დაშვება და ა.შ). თუმცა აღნიშნული მხარდამჭერი მექანიზმები უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვადე, წინასწარ განსაზღვრული მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომ მომხმარებელებმა იცოდნენ თუ რამდენს იხდიან განახლებადების ვადდებულების შესრულების სამთავრობო პოლიტიკაში.

## **გამჭვირვადობა გენერაციისა და ბუნებრივი გაზის ობიექტების მშენებლობის სფეროში**

ბუნებრივი გაზისა და ედექტროენერგიის ბაზრების შესახებ დირექტივები აგრეთვე მოიცავს ახარი გენერაციისა და ბუნებრივი გაზის ობიექტების მშენებლობის ავტორიზაციის პროცედურებისათვის დეტადურ დებულებებს, რომელის მთავარი მოთხოვნა გამჭვირვადობაა.\* ავტორიზაციის პროცედურა გუდისხმობს გენერაციის ახარი ობიექტებისა და ბუნებრივი გაზის მოწყობირობების მშენებლობისა და ოპერირებისათვის საჭირო ნებართვების (მაგადითად, ღიცენზია, კონცესია, თანხმობა ან დამტკიცება) გაცემის გამჭვირვადე კრიტერიუმებს. სახელმწიფო ვადდებულია უზრუნველყოს ნებართვების გაცემის არადისკრიმინაციული, ობიექტური და გამჭვირვადე კრიტერიუმები, რომელმაც, მათ შორის, უნდა განსაზღვროს უსაფრთხოების, საზოგადოებრივი ჰარმონია, გარემოს დაცვის, მიწით სარგებლობის, საზოგადოებრივი ტერიტორიების, ენერგოეფექტურობის საკითხების გათვადისწინების საჭარო პრინციპები, რის მონიტორინგზეც, ასევე, პასუხისმგებელია მარეგულირებელი ორგანო.\*\*

საქართველოში ინვესტორთა წახადისებისათვის მიღებული პრაქტიკაა ჰიდროსადგურების მშენებლობის მიზნით სახელმწიფოსა და ინვესტორებს შორის მემორანდუმების გაფორმება. თავდაპირველი ნაბიჯები ჰქესების მშენებლობის წახადისებისათვის გადაიდგა 2008 წლის 22 აპრილს მიღებული დადგენიდებით #107 - სახელმწიფო პროგრამა "განახლებადი ენერგია 2008" - საქართველოში განახლებადი ენერგიის ახარი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული პროგრამის ძირითადი პირობა იყო ენერგეტიკის სამინისტროს მიერ ასაშენებელი ჰიდროსადგურების ნუსხაში შემავადი ობიექტების ტექნიკურ-ეკონომიკური კვდევის ჩატარების, მშენებლობის, ფინანსის და ოპერირების მიზნით ინტერესთა გამოხატვაზე გამოტანა. 2013 წლის 31 აგვისტოს მთავრობამ მიიღო ახარი, #214 დადგენიდება „საქართველოში ედექტროსადგურების მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებლობის, ფინანსის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ“, რომელიც ვრცელდებოდა ნუსხაში შემავად პროექტებზე, 2014 წლის 10 აპრილს კი მიღებულ-იქნა #40 ბრძანება, რომელიც



\* დირექტივა 2009/72EC, მუხლი 7 და დირექტივა 2009/73/EC მუხლი 4


\*\* მე-8 მუხლი, დირექტივა 2009/72/EC

ვრცელდება ნუსხის გარეთ არსებულ პროექტებზეც.

2013 წერს მიღებული #214 დადგენიდებით, “\* სამინისტრო ინდივიდუალური აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს და თავის ოფიციალურ ვებგვერდზე განათავსებს ასაშენებელი პოტენციური ერექტროსადგურების ნუსხას და მათ თაობაზე სამინისტროში არსებულ ძირითად ინფორმაციას. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მიღება შეუძია იურიდიულ პირს ან იურიდიულ პირთა კონსორციუმს. ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეთა მიმართ დგინდება საკვადიფიკაციო მოთხოვნები, ინტერესთა გამოხატვის შედეგად, საქართველოს მთავრობას, სს „ერექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორსა“ (შემდგომში „ესკო“) და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულ პირს (შემდგომში „გამარჯვებული პირი“) შორის იდება მემორანდუმი.

#214 დადგენიდებების მიხედვით, „ინტერესთა გამოხატვის შედეგად გამარჯვებული პირის მიერ ერექტროსადგურის მშენებდობის, ოპერირების და ფინანსირების აუცილებელი პირობაა ერექტროსადგურის ექსპრუატაციაში მიღებიდან 10 წელის განმავლობაში, ყოველი წელის იანვრის, თებერვალის, მარტის, აპრილის, სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეების განმავლობაში, ერექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ერექტროენერგიის სისტემის კომერციულ ოპერატორთან“ (ესკო) წინასწარ გაფორმებული გარანტირებული შესყიდვის ხედშეკრულებით“ ხორ #40 ბრძანების მიხედვით, „ურთიერთგაგების მემორანდუმის აუცილებელი პირობაა ერექტროსადგურის ექსპრუატაციაში გაშვებიდან 10 წელის განმავლობაში, ყოველწლიურად, იანვრის, თებერვალის, მარტის, აპრილის, სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში ერექტროსადგურის მიერ ფაქტობრივად გამომუშავებული ერექტროენერგიის სრული რეაგიზაცია ადგიდობრივ ბაზარზე“.

ჰიდროსადგურების დეველოპერებს სამინისტროსთან მოდაპარაკების საფუძველზე უდგინდებათ გარანტირებული შესყიდვის ტარიფი, თუმცა ტარიფის დადგენის პრინციპები მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. ტარიფები ცალკეული სადგურებისთვის დგინდება პროექტის ფინანსური მოდერის საფუძველზე, მაგრამ არ არის განსაზღვრული დასაშვები ნორმა ან სხვა პირობები. აღსანიშნავია ასევე, რომ #214 ბრძანების მიხედვით „იმ შემთხვევაში, თუ ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული პირის მიერ სამინისტროსთვის წარდგენიდი და მასთან შეთანხმებული წინადადების მიხედვით იცვდება ასაშენებელი ერექტროსადგურის პარამეტრები (დადგმული სიმძღვრე, წელიური გამომუშავება, საინვესტიციო ოდენობა და სხვა), რის შედეგადაც უმჯობესდება შესაბამის ფინანსურ მოდერში დაფიქსირებული პროექტის ინვესტიციაზე უკუგების კოეფიციენტი, განხორციელდება მხარეთა შორის დადებულ ურთიერთგაგების მემორანდუმში/ხედშეკრულებაში ცვდიდებები, პარამეტრების კორექტირებისა და „ესკოსთვის“ მისაყიდი ერექტროენერგიის ფასის შემცირების მიზნით,



\* #214 დადგენიდება „საქართველოში ერექტროსადგურების მშენებდობის ტექნიკურ-ეკონომიკური შესწავლის, მშენებდობის, ფინანსურის და ოპერირების შესახებ ინტერესთა გამოხატვის წესის დამტკიცების შესახებ“


იმდაგვარად, რომ შესაბამის ფინანსურ მოდერში უაუგების კოეფიციენტი დარჩეს უცვდედი. ხორთ თუ წარდგენიდი და შეთანხმებუდი წინადაღების შესაბამის ფინანსურ მოდერში ასახვის შედეგად არ იცვდება ან/და უარესდება უაუგების კოეფიციენტი, განხორციელდება მხარეთა შორის დადებუდ ურთიერთგაგების მემორანდუმში/ხედშევრულებაში ცვდიდება მხოდოდ პარამეტრების კორექტირების მიზნით და “ესკოსთვის” მისაყიდი ედექტროენერგიის ფასი დარჩება უცვდედი (მუხდი 7 პუნქცი-21). აღნიშნუდი მიღომა არ მოიცავს დეტალურ განმარტებებს და ინვესტორისათვის და ფინანსური ინსტიტუტებისთვის არასტაბილურ და არასაკმარის პირობას წარმოადგენს. მაგალითად, ხუდონ ჰესს დადგენიდი აქვს სავარდებულო სახედმშიფო შესყიდვა 10.5 ცენტად ცხრა წელის განმავლობაში, სხვა კომპანიებს - 6.5 ცენტად, ზოგიერთ საღგურზე კი ფასები საერთოდ არ არის ცნობიდი.

აღსანიშნავია ასევე, რომ 2010 წელიდან 2014 წელიდე ნუსხის გარეთ მყოფი პროექტებისთვის ტარიფები და შესყიდვის ვადები დგინდებოდა პირდაპირი მოდაპარაკებების გზით, რადგან მათგან ამ პერიოდში არანაირი კანონმდებლობა არ ვრცელდებოდა, ამიტომაც ზოგიერთ პიდროსადგურს შესყიდვის პერიოდი აქვს 12 თვე, ზოგიერთს ნაკვები.


ინვესტორთან „ედექტროენერგიის შესყიდვის ხედშევრულების“ (PPA) ფარგლებში ფასის დადგენა სამინისტროსთან მოდაპარაკებების შედეგად, მკაფიოდ წინასწარგანსაზღვრული მეთოდოლოგიის გარეშე, ეწინააღმდეგება ევროპულ პრაქტიკას, ბაზრის გამჭვირვალობის შესახებ. მოცემული ვითარება არათანაბარ პირობებს ქმნის ინვესტორებისათვის, რის გამოც რომედიმე კომპანიამ შეიძლება უპირატესი მდგომარეობა მიიღოს კონკურენტებთან შედარებით. ასევე შესაძლებელია, რომ მოდაპარაკებული პირობებით რომედიმე კომპანიამ შეზღუდოს ბაზარზე ახალი შემომსვლელები, რაც არახედსაყრელია სექტორში სტრატეგიული ინვესტორების მოსაზიდად და ეწინააღმდეგება ევროკავშირის მოთხოვნებს.

ასეთი პრაქტიკით ვიღებთ არა მომხმარებელზე, არამედ კონკრეტულ კომპანიებზე მორგებულ ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს. შესყიდვის რისკები მთდიანად სახედმშიფოს ეკისრება და მომავარდში ბიუპეტის/ მომხმარებელის გადასახდელია. მაღალი აღბათობით კომპანიამ შეიძლება მიიღოს არასაბაზრო დაუსაბუთებელი შესყიდვის ფასი რომელსაც საბოროოდ დაფარავს მომხმარებელი, ედექტროენერგიის ტარიფით ან სახედმშიფო ბიუპეტის გავდით.

ასევე აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებების მიღება ხდება ედექტროენერგეტიკული ან/და მთდიანად ენერგეტიკული სექტორის განვითარების ერთიანი ხედვის და ქვეყნისათვის სტრატეგიული ხარჯ-სარგებლიანობის ანაღიზის გარეშე, იმის დეკრარიებით რომ „პიდროპოტენციალი მაქსიმალურად უნდა განვითარდეს“, თუმცა არ არის დაბუსტებული, რას



ნიშნავს „მაქსიმალური განვითარება“. ამ არაობიექტური და გაუმჯობესების მიზანით გართულებულია სტრატეგიული ინვესტიციების მობილური განვითარება, რაც ვარინდება მრავალი წამოწყებული პროექტის განხორციელების შეფერხებებში. პროცესის გაუმჯობესების მიზანით განვითარება თავისთვის ბაზებს პირადი თუ საკუთრი დაინტერესების უქვებს და ამით აღვივებს პროექტებისადმი ადგიღობრივი მოსახლეობის და გარემოსდამცველების პროტესტს.



სექტორში არსებული მემორანდუმების სისტემის ხარვეზია ასევე სახელმწიფოს მხრიდან მრავალწლიანი ფინანსური ვარდებულებების აღება, რაც მის ფინანსურ სტაბილურობას საფრთხეს უქმნის. საერთაშორისო სავარუბო ფონდის მიერ მომზადებულ 2017 წელს აპრილის ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოში ფისკალური რისკების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოებსა და ინვესტორებს შორის გაფორმებული საჭარო და კერძო პარტნიორობის (PPPs) შეთანხმებები, მათ შორის ერექტორენერგიის შესყიდვის ხედშეკრულებები (PPA) წარმოადგენს. ასევე ნათქვამია, რომ რისკების მინიმიზაციისა და PPP და PPA-ებისგან სარგებლის მაქსიმალურად გაზრდის მიზნით, აუციდებელია ახარი PPP კანონის მიღება. ანგარიშში ხაგასმუდია, რომ ქვეყანის მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობისათვის ადეკვატურ ფისკალურ, მონეტარულ და ფინანსურ პოდიტიკასთან ერთად, აუციდებელია კომპრესური სტრუქტურული რეფორმები ენერგეტიკის სექტორში.

შესაბამისად, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით PPP კანონის და კანონქვემდებარე აქტების მიღებასთან ერთად, აუციდებელია დარგში რეფორმების განხორციელება „ენერგეტიკური გაერთიანების“ მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც მოიცავს ევროკავშირის საუკეთესო პრაქტიკას კონკურენციისა და გამჭვირვალობის მხრივ.

### გამჭვირვალობა და ბაზრის დიბერადიზაცია

ევროკავშირის კანონმდებლობა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ენერგეტიკური ბაზრების ღიბერადიზაციაზე, რაც გუდისხმობს ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიების არარსებობას და ბუნებრივი-მონოპოლიური და კონკურენტული საქმიანობების გაყოფას.

### ედექტორენერგეტიკული სექტორი

ედექტორენერგეტიკულ სექტორში ქსედური და კონკურენტული საქმიანობის გაყოფა ეხება როგორც მაღარი ძაბვის გადამცემ ქსედებს, ასევე გამანაწილებელ ქსედებს. მაღარი ძაბვის გადამცემი ქსედების შემთხვევაში იგუდისხმობა საკუთრებითი გამიჯვნა გადაცემის და გენერაცია/მიწოდების საწარმოებს შორის, გამანაწილებელი ქსედის შემთხვევაში კი მისაღებია ამ საქმიანობათა ე.წ. სამართლებრივი გამიჯვნაც ანუ აუციდებელია შეუთავსებელი საქმიანობები

ხორციელდებოდეს სხვადასხვა იურიდიული პირების მიერ, თუმცა დასაშვებია მათ ერთი მფლობელი ჰყავდეს.

საქართველოში ენერგეტიკული ბაზარი ჭრასერობით არ ემყარება კონკურენციის პრინციპებს, გამანაწილებელი კომპანიები ამავღროულად მიმწოდებდები არიან და მომხმარებელს არჩევანის გაცემების შესაძლებლობა არ აქვს. 2017 წელს თებერვალში ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნომ მოამზადა ენერგეტიკის შესახებ კანონპროექტი, რომელიც განსაზღვრავს ედექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის რეგულირების ახად, ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მყოფ პრინციპებს. კანონპროექტის მიხედვით, უნდა გაიმიჯნოს ქსერული და მიწოდების საქმიანობა და უნდა შემუშავდეს ქსერზე დაშვების არადისკრიმინაციული წესები. ეს ნიშნავს, რომ მაგარითად სს „თევასი“ რომელიც არის გამანაწილებელი (ქსერის ოპერირება/განვითარება, აღრიცხვა და სხვა) და ამავღროულად მიმწოდებელი, ანუ ყიდის მის მიერვე „მოტანიდ“ ენერგიას, უნდა გადაკეთდეს იმდაგვარად, რომ განახორციელოს განაწილების საქმიანობა და თავისი ქსერით ედექტროენერგიის გაყიდვის საშუალება მისცეს ბაზარზე გამოჩენიდ სხვა კომპანიებსაც.\*


დაგეგმიდი ცვდიდების მიხედვით, მარეგულირებელი კომისიის კომპეტენციაში არ უნდა შედიოდეს გენერაციის ობიექტების ტარიფის დადგენა. ტარიფი უნდა დადგინდეს მხოლოდ ე.წ. ბუნებრივ მონოპოლიების, ანუ ქსერული საქმიანობის მქონე კომპანიებისთვის. ხორც თავად ედექტროენერგიის ღირებულება ბაზარმა უნდა განსაზღვროს, რაც ამ სექტორში მანიპულირების შესაძლებლობას ეტაპობრივად გამორიცხავს.

## ბუნებრივი გაზის სექტორი

საქართველოს ბუნებრივი გაზის საბითუმო ბაზარი ფორმადურად პირდაპირი კონტრაქტების ბაზარია, სადაც ფორმდება როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი კონტრაქტები მომწოდებლებსა და საცავო მიმწოდებლებს თუ პირდაპირ მომხმარებლებს შორის. სინამდვირეში, სახერმწიფო დონეზე დადებული გრძელვადიანი კონტრაქტის საფუძველზე ამ ბაზარზე დომინირებს ერთი ძირითადი საბითუმო მომწოდებელი რის გამოც ბაზარი მოკლებულია მის მთავარ ფუნქციას - კონკურენციას. „სოკარ ჭორჭია გაზი“ და მისი შვილობიდ კომპანიები მონაწილეობენ როგორც საბითუმო, ასევე საცავო ბაზარზე და ბუნებრივი გაზით ამარაგებენ როგორც მიმწოდებლებს, ასევე საბოლოო მომხმარებლებს.


საქართველოს ბუნებრივი აირით პირველადი საბითუმო მომარაგება რამდენიმე განსხვავებული წყაროდან ხდება:

1. პირველადი მიწოდების დიდ ნაწილს შეადგენს გაზი რომელსაც საქართველო იღებს სატრანზიტო მიღსადენებიდან. სამხრეთგავგასიური მიღსადენით გაზის ტრანზიტის ხედშეკრულებით განსაზღვრული შაჰდენიზის საბაზოდან



\* აღსანიშნავია, რომ ასეთი მოთხოვნა გათვალისწინებული იყო 1998 წელს ეი-ი-ეს სიღვროულ ჰოდინგ ბივის და საქართველოს მთავრობას შორის თევასის აქციების 75%-ის შესყიდვის ხედშეკრულებაში.

მომავარი დამატებითი და ოფციური გაზი, ასევე 2017 წელს ჩათვდით, რუსეთიდან სომხეთში ტრანზიტის საფასურად ნატურით მიღებული რუსული ბუნებრივი გაზი საქართველოს ნავთობის და გაზის კორპორაციას (GOGC) ეკუთვნის. თუმცა 2009 წელს აზერბაიჯანულ ნავთობკომპანია „სოკართან“ გაფორმებული ხედშეკრულების მიხედვით GOGC ამ „სატრანზიტ“ მთრიანად გადასცემს შეს „სოკარ გაზ იმპორტ-ექსპორტ“-ს, რომელიც „სოკარ ჰორკია გაზის“ და მისი შვილობილი გამანაწილებელ/მიმწოდებელი კომპანიების მეშვეობით ან/და სხვა მიმწოდებელი კომპანიების გავდით ამ გაზს აწვდის ბუნებრივი გაზის ე.წ. „სოციალურ“ სეგმენტს - მოსახლეობას და თბოედექტროსადგურებს.



2. იმავე ხედშეკრულებით, „სოკარი“ იღებს ვადდებულებას, უბრუნველყოს ქვეყანა ბუნებრივი აირის დამატებით საჭირო მოცულობებით, რაც საქართველოს გაზმომარაგების მეორე, უმნიშვნელოვანესი წყაროა და საქართველოში შემოდის ე.წ. კომერციული გაზის სახით. სავარაუდოდ, ამ ხედშეკრულებით ასევე ბადანსდება განსხვავება სატრანზიტო გაზის მოცულობებსა და ე.წ. „სოციალური სექტორის“ ფაქტიურ მოხმარებას შორის. ასევე „სოკარი“ იღებს ვადდებულებას უწყვეტ მიმწოდებაზე სეზონური მოხმარების ცვალებადობის მიუხედავად. აღნიშნული ხედშეკრულება, ძაღლია 2030 წელი, თუმცა მისი დეტალები საზოგადოებისთვის ხედმისაწვდომი არ არის.\*


შენობები მოიხმარენ ყველაზე მეტ ენერგიას ვიღრე გრობადური ეკონომიკის სხვა სექტორები. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, გრობადურად მოხმარებული ენერგიის 34% შენებებზე მოდის, რაც აღმატება ენერგიის მოხმარებას ინდუსტრიისა და ტრანსპორტის სექტორებში.

ევროკავშირის მასშტაბით, შენობების მიერ ენერგიის მოხმარება მთდიანი ენერგიის მოხმარების 40%-ია. შესაბამისად, ამ სექტორში ენერგომოხმარების შემცირება უმნიშვნელოვანეს როგორც ასრულებს ევროკავშირის ენერგეტიკული სტრატეგიის მიზნის მიღწევაში, რაც გუდისხმობს ენერგიის მოხმარების 20%-ით შემცირებას 2020 წლისათვის.

საქართველოში მშენებრობების რიცხვი იზრდება, თუმცა არ არსებობს ერთიანი სამშენებლო ნორმები და მოქმედებს 37 ქვეყნის სტანდარტი. სამშენებლო კოდექსი შემუშავებულია, მაგრამ პარდამენტის მიერ დამტკიცებული არ არის.

საქართველოსთვის დირექტივების განხორციელების ვადად მოცემულია 2019 წლის 30 ივნისი და 2018 წლის 31 დეკემბერი, თუმცა ეკონომიკის სამინისტრო, რომედიც არის ამ დირექტივების შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა, ენერგეტიკის სამინისტროსთან ერთად, აწარმოებს მოგაპარაკებებს ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოსთან დირექტივების კონკრეტული მუხლების განხორციელების ვადების შესახებ და იგი შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ოქმში მითითებულ თარიღს.

## 2010/31/EU დირექტივა შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ (EPBD)

EPBD მიზანია შენობების ენერგოეფექტურობის გაზრდის ხედშეწყობა, რასაც, სათბური გაზების ემისიის შემცირებასთან ერთად, აქვს ბევრი სხვა დადებითი შედეგიც, მათ შორის: დასაქმების გაზრდა სამშენებლო სექტორში,



ტექნოლოგიების განვითარება და ინოვაცია, ჰაერის, წყლის მიწის დაბინძურების შემცირება, აღამიანის კანმრთელობისა და კომფორტის დონის გაზრდა, ენერგიაზე გადასახადების შემცირება და ა.შ.

ამ მიზნის მისაღწევად დირექტივა გვთავაზობს მთელ რიგ ლონისძიებებს, მათ შორის:

### **შენობების ენერგოეფექტურობის მინიმადური მოთხოვნების შემუშავება (მუხლი 3-8)**

დირექტივა ავადდებულებს ქვეყნებს შეიმუშაონ მეთოდოლოგია ეროვნულ დონეზე, რომელის მიხედვითაც უნდა განსაზღვრონ ენერგოეფექტურობის მინიმადური მოთხოვნები შენობების ცადკეული ტიპებისა და კატეგორიებისათვის.

მეთოდოლოგიაში გათვაღისწინებული უნდა იყოს: შენობების თბური მახასიათებელი (დათბუნება, გათბობა, გაგრიდება ა.შ.), თბო-იზოდაცია და ცხედ-წყარომარაგება, კონდიცირების სისტემა, ინტეგრირებული განათება, კვიმატური პირობები და ა.შ. მინიმადური მოთხოვნების დადგენა კი უნდა მოხდეს ხარჯის ოპტიმადური დონის (Cost-optimal Level) გათვაღისწინებით.\*

ამ მეთოდოლოგიის საფუძველზე შემუშავებული და დადგენილი ნორმები ეხება ყველა ახარ შენობას და არსებულ შენობებს, რომელიც კაპიტალურად რემონტდება. გამონაკვდისია ისტორიული შენობები, რედიგიური დანიშნულების შენობები, დროებითი საცხოვრებელები და ა.შ. მინიმადური ენერგეტიკული მახასიათებელი უნდა გადაიხედოს რეგულარულად და განახლდეს საჭიროების შემთხვევაში.

დირექტივა ცადკე აყაღიბებს ტექნიკური სამშენებლო სისტემების მოთხოვნების განსაზღვრის საჭიროებას (გათბობის სისტემები; ცხედი წყარის სისტემები; კონდიცირების სისტემები; ვენტილაციის დიდი სისტემები ან ასეთი სისტემების კომბინაცია) და მიუთითებს, რომ უნდა წახარისდეს ჭკვიანი მრიცხველების გამოყენება (მუხლი 8).

### **თითქმის ნუდოვანი ენერგიის შენობები - NZEB (მუხლი 9)**

კონკრეტული ვადის განსაზღვრის შემდეგ, ყველა ახარი შენობა უნდა იყოს თითქმის ნუდოვანი ენერგიის შენობა, ეს მოთხოვნა პირველ რიგში უნდა დააკმაყოფილონ საჭარო შენობებმა.


თითქმის ნუდოვანი ენერგიის მქონეა შენობა, რომელსაც აქვს ძარიან მაღარი ენერგოეფექტურობის მაჩვენებელი. თითქმის ნუდოვანი ან ძარიან დაბარი რაოდენობის მოთხოვნილი ენერგია კი მიიღება ადგიდზე ან მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული განახლებადი ენერგიის წყაროებიდან.



\* „ხარჯის ოპტიმადური დონე“ გუდისხმობს შენობის ენერგოეფექტურობის დონეს, რომელის მიღწევაც არის ყველაზე დაბარი ხარჯის მქონე შენობის სავარაუდო ეკონომიკური ექსპრესატაციის პერიოდში. ხარჯის ოპტიმადური დონე უნდა დადგინდეს შედარებითი მეთოდოლოგიის გამოყენებით.

## **წამახადისებები ღონისძიებები (მუხლი 10)**

დირექტივა ავადდებულებს ქვეყნებს შეიმუშაონ არსებული და დაგეგმილი წახადისებების (მათ შორის ფინანსური) ღონისძიებების სია შენობებში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისათვის. აღნიშნული სია უნდა განახდეს ყოველ 2 წელიშადში ერთხელ და შეფასდეს ქვეყნების მიერ შემოთავაზებული წამახადისებები ღონისძიებების ეფექტურობა. წამახადისებები ღონისძიებებში იგულისხმება პოდიტიკის ინსტრუმენტები (რეგულაციები, წესები, კანონები, კარიმები, საინფორმაციო და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები) და ფინანსური ღონისძიებები (გრანტები, სუბსიდიები, საგადასახადო შეღავათები, სესხები ა.შ.).



## **შენობების სერტიფიცირება (მუხლი 11, 12, 13)**

შენობების სერტიფიცირება არის ერთერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელსაც დირექტივის 3 მუხლი ეძღვნება. დირექტივის მიხედვით, ქვეყნებს უნდა ჰქონდეთ შენობების ენერგოეფექტურობის სერტიფიკატების შემუშავების სისტემა. სერტიფიკატები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას შენობის მიერ მოხმარებული ენერგიის შესახებ და ასევე იძრეოდეს რეკომენდაციებს ენერგიის მოხმარების შემცირების და ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სერტიფიკატები დატანიდი ინფორმაცია და რეკომენდაციები ხშირ შემთხვევაში არის ტექნიკური და მომხმარებლისთვის ძნელად გასაგები. ამიტომ რეაგური შედეგის მისაღებად, მნიშვნელოვანია ინფორმაცია გადმოცემული იყოს მარტივად და გასაგებად.

სერტიფიკატები წარმოდგენილი უნდა იქნას მშენებრობის, გაყიდვის, გაქირავების ეტაპებზე და განთავსდეს მედიაში სარეკლამო განცხადებებთან ერთად. მოთხოვნა ასევე ეხება საჭარო შენობებს, სადაც სერტიფიკატები გამოკრული უნდა იყოს ხარხისთვის კარგად დასანახ ადგიდას. ენერგეტიკული სერტიფიკატების მოქმედების ვადა არის 10 წელი.

სერტიფიკატები ენერგოეფექტურობის შესახებ ცნობიერების ამაღლებს ინსტრუმენტიცაა. წევრი ქვეყნების გამოცდიდება აჩვენებს, რომ ენერგოეფექტური შენობები იყიდება და ქირავდება უფრო სწრაფად ვიღრე ჩვეულებრივი შენობები. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სარეკლამო განცხადებებში სერტიფიკატების განთავსებას და საჭარო შენობების ვადდებულებას, განათავსონ ისინი გამოსაჩენ ადგიდას.

## **ინსპექტირება და კონტროლი (მუხლი 14, 15, 16, 17, 18)**

დირექტივის მიხედვით, უნდა შეიქმნას შესაბამისი ინსტრუმენტები, რომ დაწესდეს 20 კვტ. 8ე მეტი გამომუშავების გათბობის სისტემების და 12 კვტ. 8ე მეტი გამომუშავების გაგრიდების სისტემების რეგულარული

ინსპექტირება. ამასთან, 100 კვტ.-ზე მეტი გამომუშავების მქონე გათბობის სისტემები უნდა შემოწმდეს სუდ მცირე ორ წერილადში ერთხედ.

ინსპექტირებისა და კონტროლის სისტემების დამოუკიდებლისათვის, დირექტივის მოთხოვნაა შენობების სერტიფიცირება და გათბობისა და კონდიცირების სისტემების შემოწმება განხორციელდეს დამოუკიდებლივ კვადიფიციური და/ან აკრედიტებული ექსპერტების მიერ.\*

## 2012/27/EU დირექტივა ენერგოეფექტურობის შესახებ (EED)

ენერგოეფექტურობის შესახებ 2012 წლის დირექტივაში რამდენიმე მუხლი ეხება ენერგოეფექტურობს შენობებში. დირექტივის მე-4 მუხლის მიხედვით, საჭიროა შემუშავდეს გრძელვადიანი სტრატეგია საკარო, კერძო, საყოფაცხოვრებო და კომერციული შენობების გასარემონტებლად ინვესტიციების მობილიზებისათვის (ეს უნდა იყოს ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის ნაწილი).


დირექტივა ასევე ავადდებულებს ქვეყნებს, ყოველწლიურად, ენერგოეფექტურობის პრინციპების შესაბამისად, გაარემონტონ საკარო შენობების ფართის 1%. თუ საკარო სტრუქტურები გაარემონტებენ წლიურად 1% ზე მეტს, ეს მაჩვენებელი ჩაითვალისწინა ამ მომდევნო წლების ვაღდებულებების შესრულებაში. დირექტივა განიხილავს სხვა აღმერნატიული ღონისძიებების შეთავაზებასაც, რომელსაც ექნება იგივე ეფექტი.

საინტერესოა ასევე ენერგეტიკული აუდიტების საკითხიც, რომელიც გარკვეულწილად უკავშირდება შენობებში ენერგოეფექტურობის დირექტივის მოთხოვნებს ექსპერტების ხედმისაწვდომობასთან დაკავშრებით. EED მე-8 მუხლის მიხედვით, ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ საბორო მომხმარებლებისთვის მაღარხარისხიანი ენერგეტიკული აუდიტის ხედმისაწვდომობა. ხედშემკვრებმა მხარეებმა ასევე უნდა შეიმუშაონ პროგრამები საყოფაცხოვრებო მომხმარებლებს შორის აუდიტის სარგებლის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად სათანადო კონსულტაციების მეშვეობით და წაახარისონ ენერგიის აუდიტორების კვადიფიკაციის ტრენინგ პროგრამები, რათა ხედი შეუწყოს ექსპერტების საკმარის ხედმისაწვდომობას.\*\*\*

## საქართველოში არსებული ვითარება

საქართველოში აღნიშნული დირექტივების მოთხოვნები უნდა აისახოს და გათვალისწინებულ-იქნას შესაბამის კანონმდებლობასა და რეგულაციებში. დირექტივის შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოა ეკონომიკის სამინისტრო.

დირექტივის მოთხოვნების შესრულების კუთხით, რამდენიმე ძირითადი პრობლემა იკვეთება:



\* Directive 2010/31/EU of the European Parliament and of the Council of 19 May 2010 on the energy performance of buildings

\*\* Directive 2012/27/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 on energy efficiency, amending Directives 2009/125/EC and 2010/30/EU and repealing Directives 2004/8/EC and 2006/32/EC Text with EEA relevance

• ენერგეოეფექტურობის სამშენებლო სტანდარტების არარსებობა - საქართველოში არ არსებობს ერთიანი სამშენებლო ნორმები და მოქმედებს 37 ქვეყნის სტანდარტი. სამშენებლო კოდექსი შემუშავებულია, თუმცა ჰერგერობით პარდამენტის მიერ დამტკიცებული არ არის. არ არსებობს ასევე სივრცითი დაგეგმვის ერთიანი გეგმა და მშენებლობები მიმღინარეობს ქაოსურად.

• ენერგოეფექტურობის არსებული წამახადისებელი ღონისძიებები არასაკმარისად ეფექტურია. მიზნობრივი საბანკო კრედიტები ნაკვებ შედეგიანია, რადგან ბანკები რეაგურად არ გასცემენ დაბარპროცენტიან სესხებს. გარდა ამისა, საქართველოში დღეს არსებული სუბსიდირებული ტარიფები არ იძევა ენერგოეფექტურობის განვითარების შესაძლებლობას. დაბარი ტარიფის დროს ინვესტიცია ენერგოეფექტურ ტექნოლოგიაში ნაკვებად მომგებიანია გრძელი უკუგების პერიოდის და შედარებით დაბარი ფინანსური დანაზოგის გამო. შესაბამისად, ქვეყანაში ენერგეტიკული მომსახურების კომპანიების (ესკოების) მოქმედებისთვის არასახარბიერო გარემოა.

• ენერგოეფექტურობის განვითარებას ასევე ხედს უშრის ბაზარზე არსებული ენერგოეფექტური მასადების და ტექნოლოგიების სიძვირე. საკარო შესყიდვებში კი ენერგოეფექტური შესყიდვები ვერ ხორციელდება ვინაიდან სახელმწიფო შესყიდვის მთავარი კრიტერიუმია დაბარი ფასი.

• არ არსებობს შენობების თუ კონკრეტული ბინების სერტიფიცირების ერთიანი პრაქტიკა, შესაბამისად, მომხმარებელი არ არის დაცული დაუსაბუთებელი რეკვიტისაგან.

• ინსპექტირებისა და კონტროლის სისტემები ნაკვებად გამართულია. პრობლემაა ენერგეტიკულ საკითხებზე პასუხიმგებელი კვადიტიციური კადრების, ექსპერტებისა და აუდიტორების ნაკვებობა.

• არ არის ჩამოყალიბებული თითქმის ნუდოვანი ენერგიის შენობების განმარტება. დირექტივის მიხედვით, ქვეყნებმა თვითონ უნდა განსაზღვრონ როგორი იქნება თითქმის ნუდოვანი ენერგიის შენობის მახასიათებელი, ამისათვის კი უნდა შემუშავდეს ეროვნული გეგმა სადაც მოყვანილი იქნება:

- თითქმის ნუდოვანი ენერგიის მქონე შენობების განმარტების პრაქტიკაში დეტალური გამოყენება
- ყოველ წელს კვტ./სთ/ -ში გამოხატული პირველადი ენერგიის მოხმარების რიცხვითი მაჩვენებელი მ2 ფართობის ერთეულზე შუაღედური სამიზნე მაჩვენებლები
- თითქმის ნუდოვანი ენერგიის მქონე შენობების ხედშეწყობისთვის გამიზნული პოდიტიკისა და ფინანსური ან სხვა ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია და ა.შ.

- საქართველოში პრობრემური საკითხია ასევე საერთო საკუთრების გასაუმჯობესებრად ბინათმესაკუთრებისგან



საფასურის შეგროვება, რაც ამჟამად ძირითადად  
მუნიციპალური დაფინანსებით კომპენსირდება.

## დასკვნა

შენობების ენერგოეფექტურობის საკითხი დირექტივებში კომპლექსური თემებისაგან შედგება, გარკვეული ნაბიჯები დირექტივების მოთხოვნების შესრულების კუთხით უკვე გადადგმულია და დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიება თუმცა, პირველ რიგში, აუცილებელია ერთიანი სამშენებლო ნორმების შემოღება და მასში ენერგეფექტურობის მოთხოვნების ასახვა საქართველოში არსებული კრიმატური პირობების გათვადისწინებით.

დირექტივის მრავალფეროვნების და სირთულის გათვადისწინებით, საჭიროა დირექტივის დანერგვისათვის შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურებისა და სამოქმედო გეგმის დროულად შემუშავება, სადაც სამუშაოები განაწილებული იქნება სხვადასხვა თემატური მიმართულების მიხედვით.



## **დირექტივა განახდებადი ენერგიის ნეაროებიდან ენერგიის გამოყენების ხედშეწყობის შესახებ ძირითადი მოთხოვნები და გამოწვევები საქართველოსთვის**

ნინო მაღრაძე  
ექსპერტი განახდებადი ენერგიის საკითხებში

**დირექტივა 2009/28/EC განახდებადი ენერგიის ნეაროებიდან  
ენერგიის გამოყენების ხედშეწყობის შესახებ  
ძირითადი მოთხოვნები და გამოწვევები საქართველოსთვის**

განახდებადი ენერგიის ნეაროების განვითარება მთედ მსოფლიოში იბრდება და ეს ტენდენცია მომავალშიც გაგრძელდება რაღაც განახდებადი ენერგიის ტექნოლოგიები იაფდება, მათ დანერგვას კი მნიშვნელოვანი დაღებითი ეფექტი აქვს ქვეყნების მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე.

ბოლო პერიოდში განახდებადი ენერგიის წარმოებაზე შემცირებულმა დანახარჯებმა მნიშვნელოვანი ბიძგი მისცეს ამ ტიპის ტექნოლოგიების განვითარებას და ენერგეტიკულ ბადანსში განახდებადი ენერგიების წილის მნიშვნელოვან ზრდას. მაგარითისათვის, ევროკავშირი მიზნად ისახავს განახორციელოს სათბურის გაზებისგან თავისუფადი ედექტროენერგიის მიზოდება 2050 წლისათვის. განახდებადი ენერგიის ნეაროებიდან ენერგიის გამოყენების

ხედშეწყობის შესახებ 2009/28/EC დირექტივა წარმოადგენს საერთო ჩარჩოს ენერგიის საერთო წარმოებაში განახლებადი ენერგიის წილის გაზრდისათვის.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ (27.06.2014) შეთანხმების მიხედვით, საქართველოს უკვე აქვს აღებული ვადდებულებები ხედი შეუწყოს განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებას და განსაზღვრულ ვადებში მოახდინოს საკუთარი კანონმდებრობის ევროკავშირის კანონმდებრობასთან პარმონიზაცია. „ენერგეტიკული გაერთიანების“ განვითარების ოქმის შესაბამისად, საქართველოს მიერ განახლებადი ენერგიის დირექტივის დანერგვა უნდა განხორციელდეს 2018 წლის 31 დეკემბრისთვის.

2009/28/EC დირექტივა ადგენს საერთო ჩარჩოს, რომედმაც ხედი უნდა შეუწყოს ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარებას. დირექტივა მოიცავს და აყადიბებს შემდეგ სავარდებულო პირობებს და წესებს:

- ეროვნული სამიზნე მაჩვენებდების საერთო წილი ენერგიის განახლებადი წყაროების მთღიან საბოროო ენერგიის მოხმარებაში და ტრანსპორტის სექტორში;
- წესები, რომებიც შეეხება განახლებადი ენერგიის სტატისტიკურ ტრანსფერს ხედშემკვრედ ქვეყნებსა და მესამე მხარეთა შორის;
- წესები ერთობდივი პროექტებისთვის ხედშემკვრედ მხარესა და მესამე ქვეყნებს შორის
- ენერგიის წარმომავრდობის დადგენის აღმინისტრაციული პროცედურები;
- ენერგიის განახლებადი წყაროების ქსედტე დაშვების წესები და მოთხოვნები გადამცემი და გამანაწილებები ქსედის მიმართ;
- მყარი და თხევადი ბიოსაწვავის მდგრადობის კრიტერიუმები;
- დაინტერესებული და ჩართული მხარეების ინფორმირების და ტრენინგების ღონისძიებები;

დირექტივის მიზანია ასევე ემსახურებოდეს ინვესტორთა ნდობის შენარჩუნებას და განახლებადი ენერგიით ტრანსსაზღვრო ვაჭრობის ხედშეწყობას.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს განსაზღვრული აქვთ მოთხოვნები, რაც აქტიურად უნდა დანერგონ და განახორციელონ, მათ შორის:

- განახლებადი ენერგიის წყაროების წილის განსაზღვრა მთღიან ენერგომოხმარებაში და მათი გამოყენების ღონისძიებები;
- განახლებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- წევრ ქვეყნებს შორის თანამშრომელობის გაძლიერება;
- აღმინისტრაციული ბარიერების შემსუბუქება;
- ენერგიის წარმომავრდობის შესახებ სერტიფიცირების



სისტემის დანერგვა;

- ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება და ქსერზე დაშვება;
- ბიოსაშვავის გამოყენების მდგრადობის კრიტერიუმების შემუშავება;
- საინფორმაციო ღონისძიებების და ტრენინგების ჩატარება.

განახდებადი ენერგიის წყაროების წიგის განსაზღვრისათვის, თითოეული ხედშემცვრევი მხარე ვადდებულია, განსაზღვროს განახდებადი ენერგიის წყაროების სამიზნე დონე საერთო ენერგო მოხმარებაში 2020 წლისთვის; დააწესოს ეროვნული სამიზნე მაჩვენებელი და წაახადისოს ენერგოეფექტურის და ენერგო დაზოგვა. ეროვნული სამიზნე მაჩვენებდების მიზანია ინვესტორებისთვის განსაზღვრულობის შექმნა და ტექნოლოგიების განვითარება, რომელიც აწარმოებენ ენერგიას ყველა ტიპის განახდებადი ენერგიის წყაროდან. წიგის გაზრდის ღონისძიებები ეფექტურად უნდა იქნეს შემუშავებული, რისთვისაც მხარეებს შეუძლიათ შექმნან ხედშეწყობის მექანიზმები და თანამშრომდობის მექანიზმები წევრ ქვეყნებსა და მესამე მხარეებს შორის. ამავდროულად 2020 წლისთვის ტრანსპორტის სექტორში განახდებადი ენერგიების წიგი უნდა იყოს 10%. თუმცა „ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხედშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ“ ოქმის მიხედვით, საქართველოსთვის 2020 წლისთვის განახდებადი ენერგიის სამიზნე დონე განისაზღვრება „ენერგეტიკული გაერთიანების“ სამდივნოს კომპეტენციის ფარგლებში წარმოებული შესაბამისი კვდევის დასრულების შემდეგ.

დირექტივა განსაზღვრავს ვადდებულებას, დაწესდეს განახდებადი ენერგიის ხედშეწყობის მექანიზმები, თუმცა არ განსაზღვრავს ხედშეწყობის პოდიტიკას და თითოეული მხარე თავისუფარია არჩევანში. საბაზრო მექანიზმების დანერგვა უნდა განხორციელდეს ბაზრის განვითარებასთან ერთად, ამავდროულად ძირითადად გავრცელებულია ორი სახის მექანიზმები:

## 1. გენერაციაზე დაფუძნებული:

- ფასის მიხედვით: Feed-in-Tariff, Feed-in Premium, გრძელვადიანი გარანტირებული შესყიდვის ხედშეკრულება, ფიქსირებული პრემირების სისტემა;
- კვოტების მიხედვით: მწვანე სერტიფიკატები, ტენდერი და ა.შ.

## 2. ინვესტიციაზე დაფუძნებული:

- ფასის მიხედვით: საინვესტიციო სუბსიდირება, საგადასახადო შეღავათები;
- კვოტების მიხედვით: ტენდერი.

განახდებადი ენერგიის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება ენერგეტიკული გაერთიანების მიერ შემუშავებული ფორმის მიხედვით, უნდა მოიცავდეს:



- ეროვნულ სამიზნე მაჩვენებელის დაწესებას განახდებადი ენერგიის წილის განსაზღვრისათვის ტრანსპორტში, ედექტორენერგიაში, გათბობასა და გაგრიდებაში, ენერგოფექტურობის გათვაღისწინებით;
- მიზნის მისაღწევად თანამშრომელობას ადგიდობრივ, რეგიონადურ და ეროვნულ ხედისუფდებასთან;
- დაგეგმიდ სტატისტიკურ ტრანსფერს ან საერთო პროექტებს;
- ეროვნულ პოდიტიკას არსებული ბიომასის გამოყენებასა და ახარი რესურსების სხვადასხვა სახით გამოყენებისთვის მობილიზებასთან დაკავშირებით.

**დირექტივაში** მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა სტატისტიკურ ტრანსფერს, რომელიც ითვაღისწინებს მხარეების ურთიერთთანამშრომელობას და მოცემულია მისი განხორციელებისათვის აუციდებელი მოთხოვნები.

რაც შეეხება ერთობდივ პროექტებს, ეს შეიძლება მოიცავდეს როგორც ხედშემცვრედ მხარეებს, ასევე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს და კერძო ოპერატორებს. მხარეებს შეუძლიათ შექმნან ერთობდივი ხედშემწყობის მექანიზმები, რომ გაზარდონ თავიანთ ქვეყნებში განახდებადი ენერგიის წყაროებიდან წარმოებული ედექტორენერგიის მოცულობა.

დირექტივა მოითხოვს, რომ ადმინისტრაციული პროცედურები, რეგულაციები, წესები რაც მოიცავს ავტორიზაციას და ღიცენზირება, უნდა იყოს პროპორციული და აუციდებელი. ამასთანავე, აუციდებელია დანერგიი იყოს სპეციალისტების და ტექნიკოგიების სერტიფიცირების სისტემა.

ინფორმაცია ხედმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ხედმომწერი მხარის შესაბამისი დაინტერესებული პირისათვის და ასევე ინფორმაცია ტექნიკოგიებისა და სისტემების სარგებლის, ხარჯის და ენერგოფექტურობის შესახებ განთავსებული უნდა იქნეს მომწოდების ან/და ეროვნული კომპეტენტური ინსტიტუტის მიერ. ხედმომწერი მხარეების ვარდებულებაა მოახდინონ ადგიდობრივი და რეგიონული ხედისუფდების მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება და ცნობადობის ამაღლება, ინსტრუქციებით, ტრენინგებით და ა. შ.

წარმოშობის სერტიფიკატები განახდებადი ენერგიის წარმოების წახარისების ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს, რომელიც ბევრ ქვეყანაშია დანერგიდი საბოროო მომხმარებლისთვის განახდებადების შესაბამისი წილის მიწოდების უზრუნველსაყოფად. წარმოშობის სერტიფიკატი გაცემული უნდა იქნას არადისკრიმინაციული გამჭვირვადე და ობიექტური კრიტერიუმის გათვაღისწინებით. წარმოშობის სერტიფიკატის გაცემა ხდება მწარმოებლის მოთხოვნის საფუძველზე.

დირექტივა ნათელად აყაღიბებს ქსერის ოპერირებისადმი და მასზე მიერთების მიმართ მოთხოვნებს, ესენია:



- ქსერზე პრიორიტეტური ან გარანტირებული დაშვება, გამჭვირვადე და არადისკრიმინაციული პროცედურების შესაბამისად;
- პრიორიტეტური დისპეტჩირება;
- გადამცემიდან გამანაშივებელი ქსერის ინფრასტრუქტურის განვითარება, მათ შორის ინტერექტუარული ქსერები, ენერგიის შემნახვევი ტექნოლოგიები, რაც საჭიროა სისტემის უსაფრთხო ოპერირებისათვის და უზრუნველყოფს განახლებადი ენერგიების წარმოების განვითარებას და ტრანსასაზღვრო ვაჭრობის გაძლიერებას;
- მიერთების ხარჯების განაწილება, ნაწილობრივ ან სრულად დაფარვა;
- ავტორიზაციის გამარტივებული პროცედურა;
- მიერთების მოთხოვნებისა და ტარიფების საჭაროობა;
- პასუხისმგებელი სისტემის ოპერატორების მიერ ანგარიშის წარდგენა მარეგულირებდისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ.



**დირექტივა** მდგრად ბიოსაწვავად ისეთ საწვავს განსაზღვრავს, რომელის გამოყენებითაც მავნე სათბურის აირების გაფრქვევები მცირდება მინიმუმ 35%-ით სხვა სათბობთან შედარებით. 2017 წელისთვის ეს დაზოგვა უნდა იყოს 50%, ხოლო 2018 წელს იზრდება 60%-მდე მხოლოდ ახარი საწარმოებისთვის რომელიც გაეშვება 2017 წელის 1 იანვრის შემდეგ. ემისიების დათვების დროს მხედვებისაში მიიღება მთერი სასიცოცხლო ციკლის პერიოდში დაზოგირი სათბურის აირები და მოიცავს ემისიებს ბიო პროდუქტის მოვანიდან, დამუშავებიდან და ტრანსპორტიდან. ევროკავშირში მიღებულია ნებაყოფლობითი სქემები ბიოსაწვავის განვითარების ხედშეწყობისთვის და მათ განხორციელებაში ჩართულია დამოუკიდებელი აუდიტორები. ძირითადი კრიტერიუმები მყარი და თხევადი ბიოსაწვავის მიმართ შემდეგია:

- დირექტივის მიზნებისათვის, განახლებად არ ჩაითვდება ბიოსაწვავი რომელიც იზრდება ისეთ ადგიდებში როგორიცაა ტყეები, ჭაობები და ა.შ.
- ბიოსაწვავის წარმოება არ შეიძლება მაღარი ბიომრავადფეროვნების მქონე ნიადაგიდან, როგორიცაა ბიომრავადფეროვანი მდებობები და ა.შ.
- ბიომასის პოტენციალის სრულად ასათვისებდად საჭიროა არსებული ხე-ტყის რეზერვების მობირება და ახარი სატყეო სისტემის შექმნა;
- ბიომასის ნედი მასარა შესაძლებელია მოყვანიდი იქნას ენერგეტიკული გაერთიანების შიგნით ანდა სხვა ქვეყნებში;
- აუციდებელია მდგრადობის კრიტერიუმის ვერიფიკაცია: ხედშემკვრებ მხარეებს შეუძღიათ მოსთხოვონ ეკონომიკურ ოპერატორებს მდგრადობისთვის დაწესებული კრიტერიუმის შესრულება, რისთვისაც ოპერატორებს შეუძღიათ გამოიყენონ მასური დაბადანსების სისტემა, რითაც სხვადასხვა განახლებადობის ხარისხის ბიოსაწვავს შეურევენ ერთმანეთში;

განახდებადი ენერგიის წყაროებიდან ენერგიის გამოყენების ხედშეწყობის შესახებ დირექტივის დანერგვა დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს საქართველოს. დირექტივის მოთხოვნების შესრულება ბევრ სხვადასხვა პრობლემურ საკითხთანაა დაკავშირებული, რომელთა შორის აღსანიშნავია:

- ხარვეზები კანონმდებრობაში - არ არსებობს კანონი განახდებადი ენერგიების შესახებ; არსებული კანონმდებრობა კი არ განსაზღვრავს თანაბარ მიღომებს და პრინციპებს განახდებადი ენერგიის სხვადასხვა წყაროს (ჰიდრო, მზე, ქარი, ბიომასა) განვითარების ხედშეწყობისთვის; არსებული „ბაზრის წესები“, #214 და #40 დადგენიდებები არ იძღვა საინვესტიციო სტიმულირებას განახდებადი ენერგიების განვითარებისათვის;
- განახდებადი ენერგიის სამოქმედო გეგმის არარსებობა - არ არსებობს ხედვა თუ ენერგიის განახდებად სხვადასხვა წყაროებს რა მასშტაბით განვავითარებთ და როგორი იქნება თითოეულის წილი მთღიან წარმოებაში. საჭიროა შემუშავდეს ერთიანი გეგმა, სადაც გაწერილი იქნება ქვეყნის მიზანი, როგორ განავითაროს სიმძრავრეები, რასაც თან უნდა ახდეს ტექნიკურ-ეკონომიკური და ხარჯ-სარგებლივო ანადიზი. ეროვნული სამიზნე მაჩვენებლის მიღწევა უნდა იყოს რეაგისტური. აუცილებელია შემუშავდეს დაგეგმვის მოდერნიზაცია, სტრატეგიები და გრძელვადიანი ხედვა.
- განახდებადი ენერგიის წყაროების ქსერზე მიერთებასთან დაკავშირებული პრობლემები - ახარი სიმძრავრეების ქსერზე დაშვების მიზნით წინასწარ გუსტად უნდა იყოს განსაზღვრული ქსერის განვითარების პრიორიტეტები და შესაბამისობაში მოდიოდეს ახარი სადგურების მშენებრობასთან. უნდა განისაზღვროს პრიორიტეტული დისპეტჩირების წესები და კრიტერიუმები, ამასთანავე, ახარი სადგურების ქსერზან მიერთების შემთხვევაში, ქსერზე მიერთების პირობები ნათღად უნდა განსაზღვრავდეს ქსერის მფლობელის პასუხისმგებლებს.
- არასაკმარისი მხარდაჭერის მექანიზმები და მასთან დაკავშირებული ხარჯები - პრობლემურ საკითხად რჩება ჰიდრო დეველოპერების მიერ მთედი წერის მანძირზე Feed-in-Tariff მოთხოვნა, სეზონური გენერაციის პირობებში; საჭიროა გაანადიზება და შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება ქარის ენერგიის სისტემაში ინტეგრაციის ხედშეწყობის მიზნით, რომ დაბადანსდეს ის ცვალებადობა, რაც ქარს ახასიათებს. გასათვარისწინებელია სახედმშიფო უწყებების კოორდინირებული მუშაობის აუცილებლობა, რაც გარკვეულად შეამსუბუქებდა აღმინისტრაციულ ბარიერებს პროექტისთვის საჭირო ნებართვების და ღიცენზიების აღებაზე.
- სტატისტიკური ტრანსფერის და წარმოშობის სერტიფიკატების ვაღიდაციის პრობლემები - ქვეყნის სავარდებულო სამიზნე მაჩვენებლების დადგენის



შესაბამისად, კანონმდებრობით უნდა განისაზღვროს წარმოშობის სერტიფიკატები და მათი შესყიდვის ვადებუდებები შესაბამისი კომპანიების მიერ; უნდა განისაზღვროს სერტიფიცირების სისტემის მიმართ მოთხოვნები; უნდა განისაზღვროს ზედამხედვერობის ორგანო, რომელიც მოახდენს შესაბამის მონიტორინგს.

- ბიოსაწვავის მდგრადი გამოყენების საკითხი და ტყეებიდან მოპოვებუდი შეშის აღიარება განახებად ბიოსაწვავად - მნიშვნელოვანია ხედი შეეწყოს სატყეო რეფორმას და გამკაცრდეს რესურსის მოპოვებაზე კონტროლი. აუცილებელია ზუსტად იქნას განსაზღვრული საქართველოში არსებული ბიოსაწვავის მდგრადი ათვისების კრიტერიუმები. ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს თავისებურებებს კონკრეტული ტექნოლოგიების შემოტანის და გამოყენების დროს.
- ცნობიერების დაბადი დონე და შესაბამისი სერტიფიცირების და ტრენინგების სისტემის არარსებობა - საინფორმაციო ორნისძიებები და ტრენინგები არ უნდა იყოს ერთჯერადი ხასიათის; ინფორმაცია ხერმისაწვდომი უნდა იყოს ყველა დაინტერესებული პირისათვის, ეს იქნება მომხმარებლები, მომზოდებლები, მშენებელ-არქიტექტორები, თუ ინვესტორები. ინფორმაცია ტექნოლოგიებისა და სისტემების სარგებლივობის შესახებ განთავსებული უნდა იქნეს შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისათვის ხერმისაწვდომ საიტებზე. საჭიროა ადგიდობრივი და რეგიონალური ხედისუფლების წარმომადგენლების ცნობიერების ამაღლება.
- ენერგეტიკული გაერთიანების ხედშემკვრედ ქვეყნებს შორის თანამშრომელება/ერთობლივი ხედშეწყობის სქემები - ხედშემკვრედ ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობა ერთ-ერთი საშუალებაა საქართველომ წარმატებით განახორციელოს რეფორმები ენერგეტიკის დარგში. საქართველოს გაუჩნდება შესაძლებლობა, რომ ერთობლივი პროექტებით და ხედშეწყობის მექანიზმების შემუშავებით დამატებითი სტიმულირება მისცეს ქვეყანაში ახარი ინვესტიციების შემოსვდას და სექტორის პოტენციალის რაციონალურად ათვისებას. საჭიროა შესაბამისმა უწყებებმა მჯიდროდ ითანამშრომელონ ხედშემკვრედ ქვეყნებთან და მოახდინონ კონკრეტული პროექტების ინიცირება.



# **ბუნებრივი განის ფასწარმოქმნა საქართველოში და ევროკავშირის ძირითადი მოთხოვნები**

**ივანე პირველი  
ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში**

## **შესავადი**

საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომდობა ენერგეტიკის სექტორში წარმოადგენს მხარეთა შორის პოდიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის მნიშვნელოვან შემადგენერ ნაწილს. საერთო ღირებულებებზე დაფუძნებული ურთიერთობები წარმოადგენს ერთი მხრივ, ევროპის სამეზობრო პოდიტიკის ხოდო მეორე მხრივ, საქართველოს ევროპულ ოჯახთან ინტერგაციის შეუქცევადი პროცესის მამოძრავებელ ნაწილს. 2014 წელს ივნისს ხედი მოეწერა „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“.

ეს ხედშეკრულება, ღრმა და ყოვდისმომცველი თავისუფადი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან (DCFTA) ერთად, საფუძველს უყრის საქართველოს ევროკავშირთან პოდიტიკურ და ეკონომიკურ ინტერგრაციას. ასოცირების შეთანხმება მიზნად ისახავს მხარეთა შორის ურთიერთობამშრომდობის ჩარჩოს შექმნას. იგი მოიცავს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან მექანიზმებს და ითვარისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომდობის გაღრმავებას სხვადასხვა მიმართულებით.

სხვადასხვა პრიორიტეტულ მიმართულებასთან ერთად, ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში, მხარეები თანხმდებიან, რომ ითანამშრომდებენ ენერგიის მიწოდების უსაფრთხოების გაძლიერების, ბაზარზე დაშვების გაზრდისა და ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზასთან ეტაპობრივ დაახლოების საკითხებზე. შეთანხმებაში გამოკვეთიდია შეუფერხებელი ტრანზიტის, ენერგეტიკული კანონმდებლობის განვითარების, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს არსებობისა და კონკურენტული ბაზრის როლი. 2016 წელს ოქტომბერს ხედი მოეწერა ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხედშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმს, რაც ენერგეტიკის სექტორში ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხედს.

ევროპული ენერგეტიკული კანონმდებლობის დანერგვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივი გაზის სექტორში, რამდენადაც ბუნებრივი გაზი ყველაზე მოთხოვნადი ენერგორესურსია საქართველოში და ის მთდიანი ქვეყნის ენერგომოთხოვნის 40%-ს აკმაყოფილებს. თუმცა,

აღსანიშნავია, რომ გაზის სექტორში მიწოდების ფასების ფორმირება არაგმჯვირვადეა, რაც ართუდებს მომხმარებელთათვის, განსაკუთრებით კი მსხვიდი მომხმარებელებისთვის, სწორი საფასო სიგნადების მიწოდებას და პროგნოზირებას. გარდა ამისა, სექტორი განიცდის მეორადი კანონმდებრობის სიმწირეს, რაც მიზანშეწონიდია გამოსწორდეს ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების მიერ ადაპტირებული და რეკომენდირებული რეგულაციებით.

## 1. ბუნებრივი გაზის ბაზის მოწყობისა და ფასების სამართლებრივი რეგულირება ევროკავშირის კანონმდებრობის მიხედვით

“ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხედშეკრუდებასთან საქართველოს შეერთების შესახებ”\* ოქმის თანახმად, ბუნებრივი გაზის სექტორში საქართველომ უნდა უზრუნველყოს შემდეგი დირექტივების და რეგულაციების ეტაპობრივი დანერგვა: 2009 წლის 13 ივნისის 2009/73/EC დირექტივა ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესებისა და 2003/55/EC დირექტივის გაუქმების შესახებ, 2009 წლის 13 ივნისის რეგულაცია (EC) N 715/2009 ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსედებზე დაშვების პირობებისა და რეგულაცია (EC) N 1775/2005 გაუქმების შესახებ, დირექტივა N 2004/67/EC ბუნებრივი გაზის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ, დირექტივა 2008/92/EC საბორო მომხმარებელებისათვის გაზისა და ედექტორენერგიის ფასების გამჭვირვადობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით „გაერთიანების“ პროცედურის შესახებ და რეგულაცია (EC) No 1099/2008 ენერგოსტატისტიკის შესახებ.

ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების (2009/73/EC) დირექტივა მთავარი დოკუმენტია, რომედიც აყადიბებს ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების წევრ ქვეყნებში ბუნებრივი გაზის ბაზრის განვითარების ხედვას. ის მოიცავს ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების, განაწილების, მიწოდებისა და შენახვის საერთო წესებს, ადგენს ბუნებრივი გაზის სექტორის ორგანიზებისა და ფუნქციონირების წესებს, ბაზარზე დაშვების, ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების, განაწილების, მიწოდებისა და შენახვის სისტემების ოპერირებისათვის ავტორიზაციის პრიტერიუმებს. ბუნებრივი გაზის შიდა ბაზარი მიზნად ისახავს ევროკავშირის ყველა მომხმარებელისათვის, იქნება ეს საკოფაცხოვრებო თუ ბიზნეს სექტორი, რეაგური შესაძლებლობის მიცემას, ტრანსსასაბლორო ვაჭრობის გაზრდას, ეფექტიანობის, კონკურენტული ფასებისა და მომსახურების უფრო მაღარი სტანდარტების მიღწევას.

ბუნებრივი გაზის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების დირექტივის თანახმად, ეფექტიანი და სამართლიანი ბაზრის განვითარებისათვის განსაკუთრებული წინაპირობა ქსედური საქმიანობის მიწოდების საქმიანობისაგან გამიჯვნაა. ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობისაგან



\* ოქმი “ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხედშეკრუდებასთან საქართველოს შეერთების შესახებ”

ტრანსპორტირების საქმიანობის ქონებრივადგამოყოფა, ასევე, განაწილების საქმიანობის, სურ მცირე, სამართლებრივად გამოყოფა მიჩნეულია დარგში კონკურენციის განვითარების წინაპირობად. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საჭარო მომსახურების ვარდებულებას, როგორც სამართლიანი და ხედმისაწვდომი ენერგორესურსების მიწოდების წყაროსა და მოწყვდადი მომხმარებლის დაცვის მექანიზმს.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გაზის სექტორში არსებული მდგომარეობა შესაძლარისია 2009/73/EC დირექტივის შესავალი ნაწილის 37-ე პუნქტში აღნერიდ სიტუაციასთან: „ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების ტერიტორიაზე ბუნებრივი გაზის იმპორტი ძირითადად ხორციელდება მესამე ქვეყნებიდან, რასაც აქვს მზარდი ხასიათი. გაერთიანების კანონმდებლობა უნდა ითვარისწინებდეს ბუნებრივი გაზის ბაზრის სტრუქტურულ წინაღობებს, რაც გამოწვეულია მიმწოდებელთა კონცენტრაციით, გრძელვადიანი კონტრაქტებით ან გასაღების სეგმენტში (დაუნსტრიმ) ღიკვიდურობის ნაკვებობით. აქედან გამომდინარე, საჭიროა მეტი გამჭვირვალობა, მათ შორის ფასწარმოქნასთან დაკავშირებით”.

2009/73/EC დირექტივის თანახმად, გამჭვირვალობის კრიტერიუმის დაცვით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და განაწილების ტარიფების ასევე მათი მეთოდოლოგიის დადგენის უფრებამოსიდება ენიჭება მარეგულირებელ კომისიას. რაც შეეხება ფასების რეგულირებას, კომისიას გააჩნია საბითუმო და საცავო დონეზე ბაზრის გახსნიდობის დონისა და ეფექტურობის, მათ შორის ბუნებრივი გაზის ბირჟისა და საყოფაცხოვრებო მომხმარებელთათვის დაწესებული ფასების მონიტორინგის ვარდებულება.

ბუნებრივი გაზის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე, ასევე გათხევადებული ბუნებრივი გაზის და გაზსაცავის სისტემებზე არადისკრიმინაციული დაშვების პირობებს განსაზღვრავს რეგულაცია (EC) N 715/2009 ბუნებრივი გაზის გადამცემ ქსერებზე დაშვების პირობების შესახებ. აღსანიშნავია, რომ რეგულაციაში ყურადღება გამახვიდებულია ე.წ. entry and exit ფასწარმოქმნის სისტემის დანერგვის მნიშვნელობაზე, როგორც ღიკვიდურ საბითუმო ბაზრებზე კონკურენციისა და ვაჭრობის ხედშემწყობ ქმედით მექანიზმები.

“ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხედშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ” ოქმის თანახმად, სამხრეთ კავკასიის მიღსადენი და ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური მიღსადენი გათავისუფრებულია ევროკომისიის 2009/73/EC დირექტივისა და (EC) No 715/2009 რეგულაციის მოთხოვნების შესრულებისაგან 2026 წლის 31 აგვისტომდე, „ენერგეტიკული გაერთიანების“ ხედშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე. შესაბამისად, შენარჩუნებულია მასპინძელი ქვეყნის ხედშეკრულებით განსაზღვრული ტრანზიტის სარგებლიანი პირობები, რაც დღეს რეგიონში არსებული ბუნებრივი გაზის

ფასების გათვალისწინებით მომგებიანია საქართველოსთვის.

## 2. ბუნებრივი გაზის მიწოდების წყაროები, მოცულობები და ბაზრის სტრუქტურა საქართველოში

ბუნებრივი გაზით ვაჭრობა საქართველოში მხოლოდ პირდაპირი კონტრაქტების საშუალებით ხორციელდება. საქართველოს ედექტოროენერგეტიკული სექტორისაგან განსხვავებით, არ არსებობს ბუნებრივი გაზის საბაზანსო ბაზარი. სისტემის კომერციული დაბადანსება პრაქტიკულად სოკარის შვიდობიდი კომპანიების მეშვეობით ხორციელდება, რაც აძლიერებს მათ მონოპოლიურ ზეგავდენას ბაზარზე. თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოში ბუნებრივი გაზის მოწოდების რამდენიმე წყარო და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი გაზის შესყიდვის კონტრაქტი არსებობს. როგორც ცხრილში 1 არის მითითებული, ბუნებრივი გაზი თითქმის მთდიანად იმპორტირებულია.

საქართველოში გაზის მიღების წყარო	2015 მიღიონი კუბ.მ	2016 მიღიონი კუბ.მ	
რუსეთის ფედერაცია იმპორტი	30	66	
ტრანზიტის საფასურად მიღებული გაზი	265	56	
სამხრეთ კავკასიური მიღსადენი	დამატებითი გაზი ოფციური გაზი	501 220	500 292
იმპორტი აზერბაიჯანიდან	1359	1321	
იმპორტი სომხეთიდან	127	19	
ადგილობრივი მოპოვება	11	6	
<b>სულ</b>	<b>2513</b>	<b>2260</b>	

ცხრილი 1. ბუნებრივი გაზის მიღების წყაროები საქართველოში, 2015, 2016 წწ.

წყარო: საქართველოს ენერგეტიკისა და წყარომომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2015 და 2016 წელის ანგარიშები.

იმპორტის ძირითადი მოცულობა, დაახლოებით 90% აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან შემოდის ხოდო დანარჩენი - რუსეთის ფედერაციიდან. ადგიღობრივი წარმოება და რუსული გაზის იმპორტი სომხეთიდან შედარებით უმნიშვნელოა.


საქართველოს გააჩნია საბაზროსთან შედარებით იაფი ბუნებრივი გაზის მიღების ოთხი წყარო.\*\* უკანასკნელი წელის განმავლობაში რუსეთიდან სომხეთში გამავარი გაზის 10% ტრანზიტის მომსახურების სანაცვლო რჩებოდა შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიას“. თუმცა მომავარი წელიდან ეს მომსახურება მთდიანად ფუღად ანაზღაურებაზე გადავა, რაც შეამცირებს ქვეყანაში იაფი ბუნებრივი გაზის მოცულობას.

\* რუსეთიდან ტრანზიტის მომსახურების სანაცვლო მიღებული გაზი მკვეთრად შემცირდა 2016 წელს, რათა დაკომპენსირებულიყო წინა წელში ტრანზიტის ხედშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტი ბუნებრივი გაზის მოხმარება.

\*\* აღექსანდრე ხეთაგური: “ტარიფების შემცირებამ, შესაძლოა, ენერგოგრიზისი გამოიწვიოს”. Droni.ge

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიასა“ და რუსულ „გაზექსპორტს“ შორის 2017 წელიდან მოქმედებს ახარი ორწლიანი შეთანხმება, რომელიც ითვარისტინებს გარდამავარ ერთწლიან ბერიოლში სატრანზიტო მომსახურების ნაწილობრივ ისევ ნატურით (ბუნებრივი გაზით) ანაზღაურებას, დანარჩენ ტრანზიტულ მოცულობაზე კი ფუძადი გადასახადია დაწესებული გადასახადით ანაზღაურდება.\*

სამხრეთ კავკასიური მიდსადენის, რომელიც ემსახურება აზერბაიჯანიდან საქართველოს გავრით თურქეთში შაჰ-დენიზის საბაზოდან მოპოვებული გაზის ექსპორტს, პროექტის ფარგლებში საქართველოს გაზინია ბუნებრივი გაზის შესყიდვის ორი დამოუკიდებელი კონტრაქტი. სამხრეთ კავკასიური მიდსადენის პროექტის მონაწილეებსა და საქართველოს მთავრობას შორის გაფორმებული ტერიტორიის მფრდობელი ქვეყნის ხედშეკრულებისა და ოფციური გაზის ყიდვა-გაყიდვის ხედშეკრულების შესაბამისად, საქართველოს უფრება აქვს შეისყიდვის სამხრეთ კავკასიური მიდსადენის საშუალებით ტრანზიტით გატარებულ ბუნებრივი გაზის 5%-მდე მოცულობის გაზი. კონტრაქტის მოქმედების ვადა 2068 წელიდან განსაზღვრული. მეორე კონტრაქტი კი ადგენს დამატებით მოსაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობასა და ფასებს რომელის მოქმედების ვადა 2026 წელიდან განსაზღვრული და ყოველწლიურად 500 მდნ მ3 გაზის იმპორტს ითვარისწინებს. ცხრილში 1 მოცემულია 2015 და 2016 წელში საქართველოში მოწოდებული „ოფციური“ და „დამატებითი“ გაზის მოცულობები. „ოფციური“ და „დამატებითი“ გაზის მყიდვებად საქართველოს მთავრობის მიერ ნომინირებულია სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, რომელიც, ამავდროულად, ქვეყნის მაგისტრალური გაზსადენების სისტემის მესაკუთრეა.



ნახაგი 1. ბუნებრივი გაზის ბაზრის სტრუქტურა

\* საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2017 - 2026 (ბუნებრივი გაზი)

შაჰ-დენიგის საბადოს მეორე ფაზის დასრულების შემდეგ და სამხრეთ კავკასიური მიწადუნის გაფართოების პროექტის ფარგლებში, დაახლოებით 2020 წელს შემდეგ, მოსაღოდნებია ოფციური გაზის მოცულობის დაახლოებით სამჯერ გაზრდა.

ბუნებრივი გაზის არსებული სტრუქტურა და ძირითადი კომერციული და ფიზიკური ნაკადები მოცემულია ნახაზზე 1. ფასწარმოქმნის თვარსაზრისით, ბუნებრივი გაზის ბაზარი, საბითუმო დონიდან მომხმარებდამდე, ორ ერთმანეთისაგან განსხვავებულ სეგმენტს მოიცავს. მოსახლეობა და თბოებექტოსადგურები, სხვა მომხმარებდებისაგან განსხვავებით, შედარებით იაფ გაზს მოიხმარენ. შესაბამისად, მომხმარებელთა ეს ორი ჯგუფი ე. წ. სოციარულ სეგმენტს წარმოადგენს. რაც შეეხება დანარჩენ მომხმარებდებს, ისინი პირდაპირი კონტრაქტების გზით სხვადასხვა კომერციულ ფასად შეიძენენ ბუნებრივ გაზს და წარმოადგენენ არასაყოფაცხოვრებო სეგმენტს. ბაზარზე დომინირებული პოზიცია უჭირავთ სოკარის შვიდობიდ კომპანიებს, რომელიც მონაწილეობენ როგორც საბითუმო, ისე საცავო ბაზარზე და იმპორტირებული გაზით ამარაგებენ როგორც მიმწოდებდებს, ისე საბოროო მომხმარებდებს.

საქართველოში გაზის სექტორში სახედმწიფო პოდიტიკა მიმართულია, იმისკენ, რომ სახედმწიფოს მიერ შესყიდული იაფი გაზი ხედისაწვდომი იყოს მოსახლეობისათვის და თბოებექტოსადგურისთვის. თუმცა, საყოფაცხოვრებო სექტორისა და თბოებექტოსადგურების კამური წერილი მოთხოვნა აღმატება ტრანზიტის საფასურად მიღებული ოფციური, დამატებითი და რუსული გაზის კამურ მოცულობას. მაგარითისათვის, ამ ორ მაჩვენებელს შორის სხვაობამ\* 2016 წელს შეადგინა 463 მდნ მ3, ხოლ 2015 წელს 357 მდნ მ3. ამ წერილი მოცულობის სხვაობის შევსების მიზნით, საქართველოს მთავრობასა და კომპანია სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტს შორის გაფორმებულია მემორანდუმი ბუნებრივი გაზით მომარაგების თაობაზე 2030 წელის შედეგების მიზნით.

### 3. ბუნებრივი გაზის ფასწარმოქმნა საქართველოში

საქართველოში ბუნებრივი გაზის ფასი დამოკიდებულია რამდენიმე ურთიერთდაკავშირებულ ფაქტორზე. ბუნებრივი გაზის საბოროო საცავო ფასს სხვა ირიბ ფაქტორებთან ერთად (მაგ. ვარუტის კურსის ცვლილება), განსაზღვრავს ქვეყანაში მოწოდების წყაროების მოცულობები და სტრუქტურა, ასევე ის, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება საცავო მომხმარებელი. მომხმარებელთა კატეგორიები იყოფა მოხმარების მიზნობრიოდიდან გამომდინარე (საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო) და იმის მიხედვით, თუ რომელი სატრანსპორტო (გამანაწილებელი თუ ტრანსპორტირების) სისტემის მომხმარებელია.

ფიზიკურად სისტემიდან ბუნებრივი გაზის მიღების ორი საშუალება არსებობს. პირველ შემთხვევაში მომხმარებელი მიერთებულია ტრანსპორტირების სისტემასთან და

\* საქართველოს ენერგეტიკისა და წყარმარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2016 წელის ანგარიში

კანონმდებრობით პირდაპირ მომხმარებელად ითვლება. სხვა შემთხვევაში, მომხმარებელი მიერთებულია დაბარი, საშუალო ან მაღარი წნევის გამანაწილებელ ქსედთან და მიეკუთვნება საცალო მომხმარებელის კატეგორიას. როგორც წესი, პირდაპირი მომხმარებელი ბუნებრივ გაზს დიდი რაოდენობით უნდა მოიხმარდეს და განაწილების გიცენტიანტს არ უნდა შეეძლოს მისი ქსედზე მიერთება. თუმცა დღეს არსებული წესებით, არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, რა მინიმადური კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს პირდაპირი მომხმარებელის სტატუსის მაძიებელმა. შესაბამისად, მოქმედი სატარიფო სისტემის პირობებში, როდესაც პირდაპირი მომხმარებელი ქსედური მომსახურების მხოდოდ ტრანსპორტირების ტარიფს იხდის და საშუალება აქვს თავი აარიდოს განაწილების ტარიფს, დიდია როგორც ახადი მომხმარებელის, ისე არსებული და განაწილების ქსედზე მიერთებული მომხმარებელის მოტივაცია, მიუერთდნენ ტრანსპორტირების სისტემას.

რეგულირების თვალსაზრისით გამოიყოფა  
მომხმარებელთა ორი კატეგორია, რომელთაგან რეგულირებად ნაწილს საქართველოს ენერგეტიკისა და წყარომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ (სემეცი) უდინდება საცალო სამომხმარებლო ფასები, ხორც დერეგულირებული კატეგორიისთვის ასეთი ფასი არ დგინდება და ის დამოკიდებულია მიმოდების მიერ საჭაროდ შეთავაზებულ ფასზე. კერძოდ, „ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობის დერეგულირებისა და ნაწილობრივი დერეგულირების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წლის 25 სექტემბრის №69 ბრძანებით, განხორციელდა მიწოდების საქმიანობის დერეგულირება, რომელის თანახმადაც, მიწოდების ტარიფი (შესაბამისად საბორო სამომხმარებლო ტარიფი) დერეგულირებულია ყველა მომხმარებელისთვის, გარდა იმ საყოფაცხოვრებო მომხმარებელისა, რომელიც ბუნებრივ გაზის მოიხმარდნენ 2007 წლის 1 სექტემბრამდე (თბილისში 2008 წლის 1 აგვისტომდე).


მარეგულირებელი კომისიის მიერ დგინდება ქსედურ მომსახურებასთან დაკავშირებული ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და განაწილების ტარიფი შესაბამისი კომპანიების მიხედვით. კომისიის მიერ 2014 წელს დამტკიცდა ბუნებრივი გაზის ტარიფების გაანგარიშების ახადი მეთოდოლოგია,\* რომელიც ეფუძნება „დანახარჯები პრიუს“ პრინციპს. ამ მეთოდის მიხედვით, კომისიის მიერ სატარიფო წლისთვის განისაზღვრება რეგულირებადი დანახარჯების ბაზა (RCB), საწარმოსთვის ნებადართული შემოსავადი, რომელიც საჭიროა საწარმოს ეფექტიანი და უსაფრთხო ფუნქციონირებისთვის და მოიცავს გონივრულ ხარჯებსა და სამართლიან მოგებას. კომისიის მიერ ასევე განისაზღვრება რეგულირებადი აქტივების ბაზაზე ამონაგების ნორმა კაპიტალის საშუალო შეწონიდი ღირებულების (WACC) პრინციპით. მისი ოდენობა დღესდღეობით შეადგენს 13.54%-ს. რეგულირებადი დანახარჯების ბაზისა და ტრანსპორტირებული, განაწილებული ან მიწოდებული ბუნებრივი გაზის მოცულობის

\* საქართველოს ენერგეტიკისა და წყარომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენიდება N33

2014 წლის 25 დეკემბერი

შეფარდება განსაზღვრავს შესაბამისი წლის ტარიფს. რეგულირებადი დანახარჯების ბაზა ძირითადად მოიცავს სატარიფო წლის კაპიტადურ და საოპერაციო დანახარჯებს, ნორმატიული დანაკორგების ღირებულებასა და დანახარჯების ყოველწლიურ კორექტირების მაჩვენებელს.

აღსანიშნავია, რომ ახარი სატარიფო მეთოდოლოგიით ბუნებრივი გაზის სექტორში ტრანსპორტირების განაწილების, მიწოდებისა და მოხმარების ტარიფი (რეგულირებადი მომხმარებელებისთვის) დადგინდა მხოლოდ 2017 წლის ივნისში.



ნახაზი 2. სამომხმარებლო ტარიფების სტრუქტურა, შპს „ყაზტერნისტების თბილისი“, შპს „სოკარ კორპუს გაზი“, და სს „საქორეგიანი“, ივნისი 2017.

ნახაზზე 2 მოცემულია სამი უმსხვიდესი გამანაწილებელი კომპანიის სამომხმარებლო ტარიფის სტრუქტურა. შპს „ყაზტერნისტების თბილისი“, რომელის სამოქმედო არეადი დედაქადაქის უდიდესი ნაწილია, სამომხმარებლო ტარიფი დაახლოებით 23-24%-ით დაბარია სოკარის შვიდობიდი კომპანიების ტარიფზე, რომელიც თითქმის მთდიანდ ფარავენ საქართველოს რეგიონების გაზის გამანაწილებელ ქსერს.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, სხვაობა ქსერურ კომპონენტი განაწილების ტარიფშია. სს „საქორეგიანის“ და შპს „სოკარ კორპუს გაზის“ განაწილების ტარიფი თითქმის ორჯერ აღემატება შპს „ყაზტერნისტების თბილისის“ განაწილების ტარიფს რაც ამ ორი კომპანიის ქსერში განხორციელებული ინგესტიციებითა და გაზიფიცირების სამუშაოებით აიხსნება.

#### **4. საქართველოს გაზის ბაზარზე არსებული ძირითადი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბუნებრივი გაზის მიღების რამდენიმე წყარო არსებობს, ბუნებრივი გაზის ბაზრის სტრუქტურა კონცენტრირებულია და საბაზრო ურთიერთობები ნაკარნახებია საქართველოს მთავრობასა და სოკარის შვიდობიდ კომპანიებს შორის მიღწეული შეთანხმებებით. ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული შეთანხმებები კონფიდენციალურია მესამე მხარისთვის, რაც ართულებს სექტორში ფასის პროგნოზირებას და მომხმარებელების (განსაკუთრებით კომერციული) მიერ სწორი გადაწყვეტილების მიღებას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ევროკავშირის კანონმდებლობის თანახმად, ბაზრის მოცულობის შეზღუდულობისა და მიმწოდებელთა კონცენტრაციის მიუხედავად, კონკურენციის ხედულყობის პირვერ და მთავარ ნაბიჯად სექტორში გამჭვირვალობის გაზრდა მოიაზრება. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია მარეგულირებელი კომისიის მიერ საბითუმო და საცადო ფასების მონიტორინგი და, რაც მთავარია, მონიტორინგის შედეგების საჭაროდ განთავსება კვარტალურ და წლიურ ჭრიდში. ევროკავშირის კანონმდებლობის შესაბამისად უნდა გაიზარდოს და გაძლიერდეს მარეგულირებელი კომისიის შესაძლებლობები ბუნებრივი გაზის ბაზრის ეფექტიანი რეგულირებისათვის, რაც სხვა უფრებამოსიდებებთან ერთად მოიცავს კომისიის მიერ ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებისა და ქსედის წესების შემუშავება-განვითარებას.

დღეს, როდესაც საცადო მიმწოდებელი ბუნებრივ გაზს მთდიანად საყოფაცხოვრებო მომხმარებელებისათვის შეიძენენ ე.წ. სოციადური გაზის ფასშარმოქნის პირობებში, მიზანშეუწონებია საყოფაცხოვრებო მომხმარებელის დერეგულირებულ და რეგულირებულ ნაწილად დაყოფა. მით უფრო, რომ ამგვარი დაყოფა ქსედგე მიერთების პერიოდულობის ნიშნით (2007 წელი არსებული მომხმარებელი) არ შეესაბამება საერთაშორისო პრაქტიკას და საფუძველს მოვრებულია. შესაბამისად, რეკომენდებულია გაუქმდეს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2007 წელის 25 სექტემბრის №69 ბრძანება და მთდიანად საყოფაცხოვრებო სექტორისთვის მომხმარებელის ტარიფი დადგინდეს მარეგულირებელი კომისიის მიერ. ამავდროულად, შეზღუდული მოცულობის „სოციადური გაზის“ ეფექტიანი განაწილების მიზნით, რეკომენდებულია ჩატარდეს კვდევა ბუნებრივი გაზის საფეხურებრივი ტარიფის დაწესების შესახებ, მით უფრო, რომ ამგვარი სატარიფო პოდიტიკის პრაქტიკა ედექტროენერგეტიკის სექტორში წევდია რაც არსებობს.

აუცილებელია ბუნებრივი გაზის რეგიონული საფასო სტრატეგიების განხილვა ქვეყნის რეგიონული ეკონომიკური განვითარების პოდიტიკის ჭრიდში. როგორც საყოფაცხოვრებო, ისე კომერციულ სექტორში ბუნებრივი გაზის ფასები და ტარიფები მაღარია რეგიონში ვიდრე დედაქადაქში. როგორც წინა თავში აღინიშნა, ამის ძირითადი მიზეზია რეგიონებში

მიმღინარე გაზიფიცირების პროექტები, რომელიც თავის მხრივ აისახება ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფებს. ცხადია, დასახლებული პუნქტების გაზიფიცირების პროექტი მნიშვნელოვანია, ამით იზრდება მოსახლეობისათვის აღტერნატიული წყაროების ხედისაწვდომობა, მით უფრო როდესაც ქვეყანაში არადეგადური შეშის მოხმარების მაღარი მაჩვენებდებია. თუმცა, მომავარი გაზიფიცირების პროექტებისთვის მნიშვნელოვანია მათი ეკონომიკური ეფექტიანობის დასაბუთება და ასევე გაზიფიცირების პროექტების ტარიფებზე ზეგავდენის ანადიზის განხორციელება, რათა თავიდან იქნეს აცირებული განაწილების ტარიფის კიდევ უფრო მეტად და გაუმართდებედი ზრდა. ბუნებრივი გაზის სექტორის შემდგომი განვითარების მიზნით, აუცილებელია ქსედური საქმიანობის გამიჯვნა მიწოდების საქმიანობისაგან ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით ბუნებრივი გაზის მიწოდება და მისი განაწილება ან ტრანსპორტირება განსხვავებული საქმიანობებია, არ არსებობს მათი სამართლებრივი ან ქონებრივი გამიჯვნის ვაღდებულება. გამანაწილებელი კომპანიები ამავდროულად ახორციელებენ მიწოდების საქმიანობას თავიანთ არეალში. ბუნებრივი გაზის საბიუტო ბაზრის განვითარებისა და ბუნებრივი გაზით მოვაჭრების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე არადისკრიმინაციული დაშვების, ასევე სატარიფო პოდიტიკის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონიდია დამოუკიდებელი ტრანსპორტირების სისტემის ოპერატორის ჩამოყალიბება და ე.წ. Entry-exist სისტემის დანერგვა.

კონკურენციის განვითარების პარადედურად, აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი მექანიზმები მომხმარებელთა უწყვეტი გაზმომარაგებისათვის. განსაკუთრებით აუცილებელია საყოფაცხოვრებო მომხმარებელების დაცვა და ამ მიზნით რეკომენდებულია დამოუკიდებელი საჭარო მიმწოდებლის ჩამოყალიბება. საჭარო მიმწოდებლის მოვალეობა უნდა იყოს ტრანზიტის მომსახურების პირობებში შესყიდული შედარებით იაფი გაზის საყოფაცხოვრებო სექტორისათვის მიწოდება. აღნიშნული შედარებით გრძელვადიანი პერსპექტივაა და უნდა ემთხვეოდეს ქვეყანაში გაზსაცავის მშენებდობის დასრულების ეტაპს, რომელიც მეტ მოქნილობას შეძენს ბუნებრივი გაზით ვაჭრობას.

## ბიბლიოგრაფია

1. ენერგეტიკული გაერთიანების სამართლებრივი ჩარჩო, მეოთხე გამოცემა, ევროპის ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო, 2017;
2. ინტერვიუ ადექსანდრე ხეთაგურთან: “ტარიფების შემცირებამ, შესაძლოა, ენერგოკრიზისი გამოიწვიოს”, 12.11.2012, [www.droni.ge](http://www.droni.ge)
2. “ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელი ხედშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ” ოქმი, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო;
3. საქართველოს ენერგეტიკის განვითარების სტრატეგია 2017-2026 (ბუნებრივი გაზი), ენერგეტიკის სამინისტრო;
4. საქართველოს ენერგეტიკისა და წყარომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014, 2015 და 2016 წელის წილური ანგარიშები;
5. საქართველოს ბუნებრივი გაზის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ამნიანი გეგმა 2017-2026, საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია, თებერვალი 2016;
6. „How to get more fair gas prices?”, Sund Energy AS, 2015

# ევროკავშირის კანონმდებლობის ძირითადი მოთხოვნები ენერგეტიკის რეგულირების სფეროში - საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოს როგორ და ფუნქციები

ანა ონაშვილი  
საქართველოს ენერგეტიკისა და წყარომარაგების  
მარეგულირებელი ეროვნული კომისია

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ენერგეტიკული თანამეგობრობის დამფუძნებელ ხელშეკრულებაზე მიერთების ოქმზე ხედმოწერის შედეგად საქართველომ საკუთარი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების ვადდებულება აიღო.


მას შემდეგ აფხაზური მხარე ენგურის მიერ გამომუშავებულ ედექტროენერგიას მოიხმარს შეუბრუდავად, სადგურისათვის ყოველგვარი ფინანსური ანაზღაურების გარეშე, ხორც სადგურის ოპერირების, კაპიტალური თუ მიმდინარე შეკეთების ფინანსურ ტვირთს საქართველოს დანარჩენი მომხმარებლები და ბიუჯეტი ანაზღაურებს. საქართველოს სახელმწიფო ახდენს აფხაზეთის ედექტროენერგიის მოხმარების სუბსიდირებას, როგორც საოპერაციო და კაპიტალური ხარჯების, ასევე ედექტროენერგიის იმპორტის ხარჯებით. ფორმალურად, ენგურის ტარიფის შესაბამისად, აფხაზეთში წრიულად უფასოდ მიწოდებული ედექტროენერგიის ღირებულება 36 მილიონი გარია, თუმცა, თუ გავითვარისწინებთ გამთარში გაზრდიდ მოხმარებას და მისი თბოსადგურების ან იმპორტირებული ენერგიით ჩანაცვლების საჭიროებას, საქართველოსთვის ხარჯი სუდ მცირე, ორჯერ მეტია, კაპიტალური შეკეთებების გათვარისწინებით კი ეს რიცხვი კიდევ უფრო იზრდება. აღნიშნული ხარჯი, სავარაუდო, ნაწილობრივ მაინც აისახება ედექტროენერგიის ტარიფებზე.

განვდიდ პერიოდში სადგურის რეაბილიტაციაში ჩადებულმა თანხებმა,\* სავარაუდოდ მნიშვნელოვნად შეცვადა აქტივების პირვანდები განაწილება ქართული მხარის სასარგებლოდ. ამიტომ, იმავე პრინციპით, აფხაზური მხარის წილი ედექტროენერგია ნაკვები უნდა იყოს და არცერთ შემთხვევაში უფასოდ არ უნდა მიეწოდებოდეს.

პრობლემის მასშტაბი მუდმივად იზრდება. 2010-2016 წელებში აფხაზეთში მოხმარების გრძა 550 გვტსთ-იყო. ხორც 2017-წელის 5 თვეში 2016 წელის იგივე პერიოდთან შედარებით მოხმარება გაიზარდა 100გვტსთ-ით, ანუ წერს მოსაღოლნები გრძა სუდ მცირე 200 გვტსთ-ია\*\*. ედექტროენერგიის წილი დეფიციტი საქართველოში იზრდება, რაც 2017 წერს 1.3მილიარდ კილოვატ-საათს უახლოვდება. მიუხედავად ახარი ედექტროსადგურების მშენებლობისა, ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების ხარისხი უარესდება.

გამთარში აფხაზეთის მოხმარება უკვე აჭარბებს ენგური/ვარდნიდის კასკადის გამომუშავებას, რის გამოც საჭირო ხდება მეტი ედექტროენერგიის იმპორტი, მათ შორის რუსეთიდან, რომელის სამხედრო ობიექტებიც სავარაუდო ამ ენერგიას მოიხმარენ. შესაბამისად იზრდება რუსეთზე ენერგეტიკული დამოკიდებულება, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი პოდიტიკური შედეგები მოიტანოს. ამასთან ერთად, ენგურჰესტე გროვდება ტექნიკური პრობლემები (15 კმ სადაწნევო გვირაბის რეაბილიტაცია, წყალსაცავის ნატანისგან გაწმენდა და სხვ,) რომელთა გადაჭრაც უდიდეს ხარჯებთან არის დაკავშირებული.

ამდენად, აფხაზეთის გადაუხდები მოხმარების გამო, ენგურის კასკადის სარგებლიანობა დანარჩენი საქართველოს ენერგოსისტემისათვის მცირდება, ხარჯები კი განუხრედად მატუდობს. სავარაუდო, საქართველოს მთავრობა უნდა დაფიქრდეს რამდენად მიზანშეწონიდია არსებული სტატუს

\* მხოდოდ ევროპის განვითარების და რეკონსტრუქციის ბანკის და ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ.

\*\* შედარებისთვის, ახდახან გაშვებული ყველაზე მძღავრი შუახევის ჰიდროელექტროსადგურის საპროექტო წრიული გამომუშავება 450 გვტსთ-ქარის ედექტროსადგურის წრიული გამომუშავება მხოდოდ 88 გვტსთ.

კვოს შენარჩუნება და მოძებნოს მისი ძირეული შეცვდის შესაძლებლობები.

არსებული მდგომარეობა არასახარბიეროა არა მხოდოდ საქართველოსთვის, არამედ რუსეთის და თავად აფხაზეთის რეგიონისთვის:

რუსულ-აფხაზური წყაროების მიხედვით, აფხაზეთში ენერგომოხმარების სუბსიდირებას რუსეთის მხარეც აკეთებს. რუსეთის ენერგეტიკის სამინისტროს შეფასებით, ინტერ-რაოს მიუღებელმა შემოსავადმა აფხაზეთის ენერგომომარაგებაზე 2016-2017 წელში დაახლოებით 750 მდნ რუბლი შეაღგინა. ამ ხარჯებს ინტერ-რაო-ს ნაწილობრივ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უფარავს.\*

აფხაზეთში გამთარში მიწოდება არასტაბილურია. გადატვირთვის რეჟიმში ფუნქციონირებს თავად აფხაზეთის ედექტროგადამცემი და გამანაწილებელი სისტემები რაც მათ საიმედობას ამცირებს. ედექტროენერგიის დეფიციტის გამო შარშან გამთარში ე.წ. „მარაოსებური შეზღუდვები“ ხორციელდებოდა, თუმცა მოხმარების მნიშვნელოვანი შეზღუდვა ვერ მოხერხდა. ედექტროენერგეტიკული სისტემის მესვეურები შეშფოთებული არიან მომავარი გამთრის პერსპექტივებით\*\*, შიშობენ რა, რომ ყირიმის მომარაგების გამო რუსეთმა შეიძრება ვერ უზრუნველყოს აფხაზეთისთვის საჭირო ედექტროენერგიის ექსპორტი.\*\*\*

პრობლემების მთავარ მიზეს წარმოადგენს აფხაზეთში ედექტროენერგიის განაწილების ტექნიკური და ორგანიზაციული მოუწესრიგებლობა და აქედან გამომდინარე მფრანგვერობითი მოხმარება. როგორც ჩანს, აფხაზეთის ფაქტობრივმა ხედისუფრებამ ათწრეულობის განმავლობაში ვერ დააგროვა საკმარისი პოდიტიკური სიმბიფე და წონა, რომ ეს პრობლემა მოეგვარებინა, თუნდაც საკუთარი ეკონომიკური და სოციადური ინტერესების სასარგებლოდ.

## ედექტროენერგიის მოხმარება აფხაზეთში

2016 წლის მონაცემებით აფხაზეთის მოხმარება 1926 მიღიონი კვტ სთ იყო, რაც, აფხაზეთში მოსახლეობის აღწერის 2011 წლის მონაცემების (240 ათასი მოსახლე) მიხედვით, ერთ სურგე 8000 კვტსთ-ს შეესაბამება. ეს 3.3-ჯერ აღემატება დანარჩენი საქართველოს მაჩვენებელს და აჭარბებს ბერების და იაპონიის მაჩვენებელს.

მოსახლეობის რაოდენობის უფრო რეადისტურ-ექსპერტული შეფასებების გამოყენებით (180 ათასი მოსახლე), ვიღებთ 10.7 ათას კვტსთ/სურგე, რაც დანარჩენ საქართველოში ერთ მოსახლეზე მოხმარებას 4.4-ჯერ აღემატება. ეს აღემატება სინგაპურის, საუდის არაბეთის და OECD მაღარშემოსავიანი ქვეყნების მაჩვენებელს, ხორც ევროკავშირის საშუალოს (5.5 ათასი კვტსთ/სურგე) - თითქმის ორჯერ აჭარბებს.\*\*\*\* მოხმარება ეკვივადენტურია იმის, რომ აფხაზეთის თითოეუდ



\* Часть затрат «Интер РАО» на электричество для Абхазии могут компенсировать.

Eadaily.com

\*\* Энергопотребление Абхазии растет ежегодно на 9%, прогнозируются перебои.

Eadaily.com

\*\*\* России может не хватить электроэнергии и для Крыма, и для Абхазии – эксперт


Eadaily.com

\*\*\*\* Electric power consumption (kWh per capita)

data.worldbank.org

მაცხოვრებელს მთედი წერი, 24 საათის განმავლობაში, ჩართული ჰქონდეს 1,2 კიბოვატიანი საკმაოდ მძღავრი ედექტრო-გამათბობელი. ასეთი არაბუნებრივად მაღარი მოხმარება ახასიათებს მოუწესრიგებელ განაწილების სისტემებს\*, მაგრამ წერების განმავლობაში ასევე ბადებდა ეჭვს, ედექტროენერგიის უკანონო გადინებაზე რუსეთში, რაც დადასტურებული არ არის.

როგორც სურ. 2-დან ჩანს, ბოლო პერიოდამდე, გარკვეული პროცენტული პარიტეტი (თუმცა გადაუხდედად) შენარჩუნებული იყო; მათ შორის იმიტომ, რომ აფხაზეთის მზარდ მოხმარებას ენგური/ვარდნიდის კასკადის რეაბილიტაციის შედეგად გაზრდიდი გამომუშავება აბადანსებდა. 2014 წერის შემდეგ კი აფხაზეთში გადინებული ედექტროენერგიის წილი მკვეთრად იზრდება და 2016 წერს კასკადის წილური გამომუშავების 46% შეადგინა; 2017-ში კი სავარაუდოდ 48%-ს მიაღწევს.




სურ.2. აფხაზეთის მოხმარების წილი ენგური-ვარდნიდის კასკადის გამომუშავებაში

**შენიშვნა:** 2010 წერს მოხმარება შემცირებულია არა აბსოლუტური მაჩვენებელით, არამედ მხოლოდ წილით, წყალუხვობის გამო ენგური/ვარდნიდის კასკადის გაზრდიდა გამომუშავების გამო.

მდგომარეობა ბევრად უფრო დამაფიქრებდად გამოიყურება სეზონურ ჭრიდში: ბოლო ათი წერის განმავლობაში ზაფხულის მოხმარება აფხაზეთში 77%-ით გაიზარდა, (სავარაუდო ტურისტული დატვირთვის გამო), ამავე პერიოდში ზამთრის მოხმარება 48%-ით არის გაზრდიდი, თუმცა, სეზონური დეფიციტის გამო, ეს ნაზრი უფრო მნიშვნელოვანია და შეზღუდვები მას მნიშვნელოვნად ვერ ამცირებს.

### აფხაზეთის მოხმარების წილი ენგურის კასკადის გამომუშავების მიმართ



სურ 3. აფხაზეთის მოხმარების წილი ენგურის კასკადის გამომუშავების მიმართ



\* ასეთი პერიოდი საქართველოს ედექტრო-ენერგეტიკულმა სისტემამ გაიარა წინა საუკუნის ბოლოს და 2000-იანების დასაწყისში, როდესაც აღრიცხვის და გადაუხდის სისტემის არარსებობის პირობებში, მტაცებული მოხმარება ხდებოდა. მაშინ ედექტრომომარაგების მიწოდების პრობლემა გადაჭრა აღრიცხვა-გადახდის სისტემის ამუშავებამ.

გამთარში აფხაზეთი ენგურის გამომუშავებაზე მეტს მოიხმარს, რის გამოც საქართველოს ენერგოსისტემას მეტი თბოსადგურების და იმპორტის ძვირი ედექტროენერგიის შეძენა უწევს. სურ 3. აჩვენებს აფხაზეთის მოხმარების, ენგურ/ვარდნიდის გამომუშავების მიმართ, ცვდიდების დინამიკას გამთრის და გაფხურის თვეებში.

როგორც გრაფიკიდან ჩანს, გამთრის თვეებში, როდესაც ედექტროენერგიის გამომუშავება ჰიდროედექტროსადგურებზე მცირდება, აფხაზეთი უკვე ენგურის გამომუშავებაზე 13%-ით მეტს მოიხმარს. წყარსაცავში წყდის დაბარი ფონის გამო 2016 წლის გამთარში 25 იანვრიდან 16 თებერვალმდე ედექტროენერგიის ე.წ. მარაოსებური გამორთვები მოქმედებდა. თუმცა მიუხედავად ამისა გამთრის მოხმარება მაინც რეკორდული იყო, რაც წერს სავარაუდოდ კიდევ მეტად გაიზრდება.

აფხაზეთში გამთრის მოხმარება გაფხურთან შედარებით, 2.4-ჯერ იზრდება თუმცა ეს განსხვავება მოსახვეობაში გათბობის სხვა, აღტერნატიული წყაროების არარსებობის პირობებში, უფრო მკვეთრი უნდა იყოს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსახვეობის გათბობის წილი არც ისე დიდია მთედ მოხმარებაში და ჩვენთვის უცნობი, ნაკვებცვადებადი მოხმარება ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე გვგონია. არსებობს მოსაზრებები, რომ აფხაზეთში ედექტროენერგიაზე ძარიან დაბარი ფასის გამო რუსეთიდან შემოდიან ბიზნეს კომპანიები, რომებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე აწარმოებენ საქონელს ან მომსახურებას და შემდგომ რუსეთის ბაზარზე ყიდიან. შესაძლოა ეს ასევე აფხაზეთში განვითაროს რუსული სამხედრო ობიექტების ხარჯეც ხდებოდეს ან უბრავოდ ქვეყნიდან ედექტროენერგიის უკანონო გატანის მიმანიშნებელი იყოს.

## ტექნიკური პრობლემები

გარდა ფინანსური გარადისა, აფხაზეთის მოუწესრიგებელი მზარდი მოხმარება მნიშვნელოვან ტექნიკურ სირთულეებს აჩენს:

- მიუხედავად იმისა, რომ ენგურჲესი თბილისის ცენტრალური სადისპეტჩეროს ექვემდებარება, გამთრის განმავლობაში მისი გამოყენება ვერ ხდება თავისი ერთერთი მთავარი დანიშნულებით - ენერგოსისტემის რეჟიმების და პიკურ დატვირთვების დასაბარენსებრად, რაც სისტემის საიმედოობაზე უარყოფითად მოქმედებს. სისტემის მანევრულობის შეზღუდვით, იზღუდება განახლებადი ენერგიის წყაროების (ქარი, მზე) განვითარების და ქსერში ინტეგრირების შესაძლებლობა. ასევე იკარგება შესაძლებლობა, რომ საქართველოს ენერგოსისტემამ მონაწილეობა მიიღოს მეზობელ ქვეყნებში ედექტროენერგიის პიკური დატვირთვების დაფარვაში, რითაც რეგიონული თანამშრომელის და შესაბამისი შემოსავების მიღების პერსპექტივებიც იკარგება.



- საფრთხეს წარმოადგენს ასევე წყალსაცავის არარეუიმუდი დამუშავება, რამაც კაშხლის უსაფრთხოების პრობლემები შეიძლება გამოიწვიოს.

- გროვდება მასშტაბური ტექნიკური პრობლემები. ვინაიდან ენგურის ტარიფი ითვალისწინება საერთო მისაღები შემოსავადებიდან, აფხაზეთიდან მიუღებელი შემოსავადები აკვდება თუნდაც სადგურის გრძელვადიანი კაპიტალური შეკეთების სარეაბილიტაციო ფონდებს. ზოგიერთი ექსპერტის შეფასებით, ბორო პერიოდში ენგურპესის ტექნიკური მდგომარეობა უარესდება.\* ამასთან იბროვადა გრძელვადიანი მასშტაბური რეაბილიტაციის აუცილებლობა. ასეთი პრობლემებიდან აღსანიშნავია წყალსაცავის დაღამვა რაც მისაყრდნობი ფარების ოპერირებას, ეს კი წყალსაცავში წყდის დონის რეგულირებას უშრის ხედს, რაც თავისთავად თაღლივანი კაშხლის უსაფრთხოების პრობლემებს ქმნის; ასევე აღსანიშნავია სადერივაციო გვირაბის მოსახვის გაუარესბუდი მდგომარეობა რაც წყდის ფირტრაციის გაზრდი ხარჯებით გამოიხატება სადერივაციო გვირაბის გასწვრივ.

სპეციალისტების შეფასებით, სადაწნევო-დერივაციური გვირაბის სრულ რეაბილიტაციას 1,5-2 წერიწადი დასჭირდება, რაც დამატებით 200მდნ კვტსთ ენერგიას მოიტანს. მაგრამ სადგურის სრული გაჩერების შემთხვევაში, მხოლოდ აფხაზეთისთვის აღტერნატიული ედექტროენერგიის შეძენის სავარაუდო ღირებულება 150-170 მიღიონი დობარი იქნება, რასაც თავად რეაბილიტაციის ხარჯები დაემატება.\*\*

აღნიშნული სამუშაოების განხორციელება ნაკლებ აღბათურია დოევანდები სტატუს კვოს პირობებში.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამო, არსებული მდგომარეობა მუდმივად უარესდება. მისი მდგრად ტენდენციად შენარჩუნება შეუძლებელია და რაციონალურ გადაწყვეტას მოითხოვს. აუცილებელია აფხაზეთმა მონაწილეობა მიიღოს ენგურპესის ფინანსური სტაბილობის და ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფაში.

ქართული მხარე საერთაშორისო დონორების დახმარებით აგრძელებს ენგურპესის რეაბილიტაციის სამუშაოებს.

2018-2021 წელებში იგეგმება სადერივაციო გვირაბის რეაბილიტაცია, ჰიდრომექანიკური და ედექტრომექანიკური სამუშაოები, გვირაბის მისასვრელი გზების რეაბილიტაცია და ა.შ. სამუშაოების შეფასებული ღირებულება 35 მდნ ევროა რომელსაც, სავარაუდო, ევროპის რეკონსტრუქციის ბანკი გამოყოფს. გვირაბის რეაბილიტაციის და ღოვანური შეკეთებებისათვის სადგურის შეჩერება იგეგმება 3 თვით 2019 წელის გაზაფხულზე. შეფასებულია, რომ აღნიშნული სამუშაოები გარდა სადგურის ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა, გამომუშავებას გაზრდის 50 მდნ კვტსთ-ით თუმცა სავარაუდო ეს მრავალჯერ გადაიფარება აფხაზეთის მოხმარების შემდგომი ზრდით.



\* России может не хватить электроэнергии и для Крыма, и для Абхазии – эксперт Eadaily.com

\*\* ერთეულ შესაძლებლობად განიხილება კაშხლის მიმდებარედ 600

მეგავატიანი ჰიდრომაცუ- მულტირებელი სადგურის მოწყობა. მართაც სად-

გურის გარდაუგადი ხან- გრძელი გაჩერების პი- რობებში ეს შეიძლება

ენერგომომარეგის ეკონომიკურად ყველაზე გამართვებული აღტერ- ნატივაც კი გამოვლეს,

თანაც სადგურს დამატებით შესაძლებლობას გაუჩენს, რომ წყალმცირობის პერი- ოდშიც მიიღოს მონა-

წილება დატვირთვის პი- კების რეგულირებაში. ასევე. სადგური გაა- ჩენს პიკურ რეჟიმში

მუშაობის დამატებით შესაძლებლობებს

საჭარო ინფორმაციის სიმწირის გამო ვერ ჩავუდრმავდებით აფხაზ და რუსეთის მხარეებთან ენგური-ვარდნიდის კასკადის თაობაზე წერების განმავრობაში მიმდინარე ურთიერთობის დეტარებს. მხოლოდ მიმოვისიდავთ რამდენიმე გარემოებას, რაც პერიოდულად თავს იჩენდა საინფორმაციო საშუალებებში; უპირვედესად უნდა აღინიშნოს, რომ სადგურის ქართველი პერსონალი, მიუხედავად ურთიერთობების პერიოდულად დაძაბვისა, რაიმე სერიოზუდი საფრთხის და შევიწროების წინაშე არ დამდგარა, რასაც ხშირად მოიხმობენ როგორც თანამშრომების შესაძლებლობის იღუსტრაციას.

გარდა ამისა, ოპერატიულ დონეზე ასევე მიმდინარეობდა ურთიერთების აფხაზეთის ქსერის ოპერატორ „ჩერნომორ ენერგოსა“ და ენერგეტიკის სამინისტროს შორის. პერიოდულად იმართებოდა მოღაპარაკებები ენგურის ექსპრუატაციის, კაპიტალური შეკეთების (მათ შორის სადაწნეო გვირაბის) და სხვა ტექნიკურ საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონტაქტების შედეგად ჰესის შეკეთების სამუშაოებს რაიმე უსაფრთხოების პრობლემები და სერიოზუდი დაბრკოდებები არ შექმნიათ. სავარაუდო ამ შესვერებებზე ასევე იყო საუბარი აფხაზური მხარისგან სადგურისთვის ედექტორენერგიის ღირებულების ანაზღაურების შესახებ, თუმცა შედეგი პერსერობით არ ჩანს.

2008 წელს აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის მხარესთან გაიმართა, მოღაპარაკებები ენგურშესის ინტერრაოს მმართველობაში გადაცემის შესახებ. კურუარებში გავრცელებული ინფორმაციით, საბოლოო მოღაპარაკება ვერ შედგა აფხაზების ძრიერი პოზიციის გამო. თუმცა, სავარაუდო, აღნიშნული შეთანხმების სტრატეგიული შედეგები არც საქართველოს მხარითვის იქნებოდა სახარბიერო.

სავარაუდო, ოპერატიულ დონეზე გრძელდება ტექნიკური ხასიათის კონტაქტები, თუმცა ჩვენთვის უცნობია არსებობს თუ არა მდგომარეობის გამოსწორების ერთიანი სტრატეგია და თანმიმდევრული ტაქტიკა. ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, პირდაპირი დახურული მოღაპარაკების ფარგლებში, პრობლემა ვერ მოგვარდება. მოითხოვს ახარ ხედვებს დაინტერესებულ მხარეთა უფრო ფართო წრის ჩართულობას და ახარი აღტერნატივების განხიდვას, რაც აფხაზეთის საკითხისადმი ერთიანი სახელმწიფოებრივი მიდგომის ფარგლებში უნდა განხორციელდეს.

ბოლო პერიოდში, შვეიცარიის მთავრობის მხარდაჭერით, მიმდინარეობს არასამთავრობო ორგანიზაციების დიადოგი, ძირითადად ენერგეტიკული სექტორის რეფორმირების და მოწესრიგების თემებზე მათ შორის აღრიცხვიანობის მოწესრიგების, განახლებადი ენერგეტიკის, ენერგოეფექტურობის, ტარიფების და სხვა საკითხებზე. თუმცა ეს დიადოგი ვერ ჩაანაცვდებს სახელმწიფოებრივი



სტრატეგიის და ტაქტიკის აუცილებლობას .

## ტექნიკურ-ეკონომიკური აღტერნატივები

დღევანდები მდგომარეობით, ერექტროენერგიის დაურეგულირებელი მოხმარება აფხაზეთში მრავად ტექნიკურ, ეკონომიკურ, უსაფრთხოების, სოციალურ პრობლემას და არასტაბილურ, არამდგრად გარემოს ქმნის, რაც საზიანოა ყველა დაინტერესებული მხარისათვის. შესაბამისი ნების გამოვლენის შემთხვევაში, არსებობს ამ პრობლემის მოგვარების ეკონომიკურად მომგებიანი მრავადი შესაძლებლობა :

უპირველესი და აუცილებელი ღონისძიება არის გამანაწილებელი ქსერის, აღრიცხვიანობის და გადახდის სისტემის მოწესრიგება მეტნავდებად რეაგისტური ტარიფის პირობებში. როგორც თბილისის და საქართველოს რეგიონების გამოცდიდებიდან გამომდინარეობს, აღნიშნული ღონისძიება მოხმარებას 35-40%-ით ამცირებს და აჩენს ერექტროენერგეტიკული ქსერის ფუნქციონირებისათვის საჭირო შემოსავდებს. გამრიცხველიანებას მნიშვნელოვანი კაპიტალური ხარჯები და ორგანიზაციული ძალისხმევა ესაჭიროება, თუმცა ქსერის და აღრიცხვიანობის მოწესრიგება საშუალებას მისცემს აფხაზეთს სტაბილური და პროგნოზირებადი გარემო შექმნას, რაც ეკონომიკის განვითარებისთვის აუცილებელი პირობაა. უცნობია, რამდენად პოდიტიკურად მომზადებულია აფხაზეთის მოქმედი ხედისუფლება, რომ ამ სფეროში წესრიგი მთელ ტერიტორიაზე გაავრცელოს ;

პროცესის მნიშვნელოვანი გაადვიდება შესაძლებელია ენერგოეფექტურობის და ენერგოდაზოგვის ღონისძიებების გამოყენებით, რაც მომხმარებლებისთვის გადახდის ვარდებულებას ნაწილობრივ მაინც შეამცირებს. ამ მიმართულების განვითარებამ კი თავის მხრივ შეიძლება ახარი ტექნოლოგიების შემოსვდას და სამუშაო ადგიდების გაჩენას შეუწყოს ხედი. თუმცა მკაცრი გადახდის და აღრიცხვიანობის გარეშე ეს ღონისძიება ვერ განხორციელდება;

განახლებადი ენერგიის წყაროების გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი წვდიდი შეიტანოს აფხაზეთში ენერგომომარაგების პრობლემის დარეგულირებაში. შესაძლებელია მზის წყარგამაცხელებების ფართო გამოყენება ან გათბობაში ბიომასის გამოყენების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვაზე ფიქრი, რაც ეკონომიკური აქტივობის და დასაქმების წყაროც შეიძლება გახდეს ;

ერთერთ აღტერნატივად შეიძლება განხილუ-იქნას ასევე აფხაზეთში ბუნებრივი გაზის შეყვანა ერექტროენერგიის ჩანაცვლების მიზნით, ოღონდ ეს შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი რაოდენობის ერექტროენერგიის დაზოგვის პირობით. ერთერთი საინტერესო მიმართულებაა აფხაზეთის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის განვითარება მცირე



თუ საშუალო ჰიდროსადგურების მშენებლობით. მათ შორის უპირვედესად განსახიდვებია ვარდნიდჰესების კასკადის აღდგენის შესაძებლობა. ამ პერსპექტივის განვითარებას სტაბილური საინვესტიციო გარემო, გასაღების ბაზარი და ეკონომიკურად და ტექნიკურად გამართული განაწილების სისტემა ესაჭიროება.

აფხაზეთის, ისევე როგორც მთდიანად საქართველოს, ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისების გასაღები სეზონურ გაცვდებშია, სადაც შესაძებელია ურთიერთსასარგებლო თანამშრომელობის ფორმების შემუშავება. ასევე შეიძლება გარე გასაღების ბაზრებზე გატანაში თანამშრომელობა. თუმცა დღევანდები გადმოსახედიდან ეს ყველაფერი შორეულ პერსპექტივად გამოიყურება.

ყველა ამ აღტერნატივის განხორციელება შესაძებელია მხოლოდ მხარეთა დაინტერესების შემთხვევაში. ამისთვის კი აუცილებელია დაცულ იქნას სამართლიანი და გამჭვირვალე პირობები და მიღებული სარგებლის მხარეებს შორის პარიტეტული განაწილების მექანიზმები რაც თანამშრომელობის შესაძებლობას გააჩენს.

## დასკვნა

რუსეთის მიეროვაპირებული აფხაზეთის მხრიდან ენერგეტიკული გამოძაღვა ათწრეულებია გრძელდება და ტექნიკურად, პოდიტიკურად და ფინანსურად ჩიხში შეყავს როგორც აფხაზეთის ენერგომომარაგება, ასევე - პრობრძემებს უქმნის საქართველოს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას. ქართული მხარის ცადმხრივი ზრუნვა ენგური-ვარდნიდი ჰესების კასკადზე სურ უფრო მეტ ხარჯის და ნაკვები სარგებლის მომტანია და დიდხანს ვერ გაგრძელდება. შესაბამისად, ურთიერთობათა არსებული სტატუსი არ იძრევა ენგურჰესის სრულფასოვანი ექსპრესუატაციის და აფხაზეთის ენერგომომარაგების გაუმჯობესების სტიმულს და შესაძებლობას. უყაირათოდ იკარგება ერექტორენერგია, რომელის სასარგებლო გამოყენება შეიძლება ეკონომიკაში, ან სურაც ექსპორტით შემოსავდის მისაღებად.

მდგომარეობა არასახარბიეროა აფხაზეთისათვის, ვისი ენერგომომარაგებაც დამოკიდებულია ამ ძირითად წყაროზე და მისი ტექნიკური მდგომარეობის გაუარესება ენერგომომარაგების უსაფრთხოებაზე მოქმედებს ხოდო მზარდი მოხმარება დეფიციტის პრობრძემებს ქმნის. ეს ასევე დამატებითი ხარჯია რუსეთისათვის, რომელის სამხედრო ობიექტები მართავია სარგებლობენ ენგურჰესის უფასო ენერგიით, მაგრამ მას სამაგიეროდ დანარჩენი აფხაზეთის ენერგომომარაგების პრობრძემები უდგება.

შესაძებელია წარმოვიდგინოთ მოვდენათა განვითარების ორი ძირითადი სცენარი: მცოცავი ოკუპაციის და ენერგეტიკული გამოძაღვის გაგრძელების და ურთიერთსასარგებლო თანამშრომელობის გზების მოძიებისა.



პირველ შემთხვევაში არსებული სტატუს-კვო დიდხანს ვერ გაგრძელდება და ტექნიკურ გაუარესებამდე და ურთიერთობათა ესკადაციამდე შეიძლება მიგვიყვანოს. მეორე შემთხვევაში ჩნდება ურთიერთსასარგებლო თანამშრომღობის ფართო პერსპექტივები, რასაც პრაგმატულ გათვდაზე დაფუძნებული პოდიტიკური ნება ესაჭიროება, რაც საგარაუდოდ ჰერგერობით არ ჩანს, არც აფხაზეთის მიმართებით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში და არც თავად აფხაზეთის შიგნით.

თანამშრომღობის პოდიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში, მის რეაგიზაციას გარკვეული წინაპირობები ესაჭიროება.

1. შესათანხმებელია ენგურჲესთან დაკავშირებული ურთიერთობების სამართვიანი სასტარტო პირობები, ან აღსადგენია ადრე მიღწეული შეთანხმება და მას რეაგური შინაარსი უნდა მიეცეს;
2. ამის მიღწევა უნდა მოხდეს პოდიტიკური საკითხებისგან დამოუკიდებლად, იმისთვის რომ ეკონომიკურ საკითხებზე შეთანხმება არ გახდეს პოდიტიკურ/სამართლებრივი დავის მძღვანი და არ ჩაიშაროს;
3. მოგაპარაკების მომზადებისას საღად უნდა შეფასდეს და გათვარისწინებულ-იქნას ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესები - მხოდოდ ამ პირობით იქნება შესაძლებელი რამდენადმე სტაბილური ურთიერთობების ჩამოყალიბება; ამ პრობლემის მოგვარება როგორც ფინანსურ, ასევე პოდიტიკურ მხარდაჭერას და მთავრობის და მთები საზოგადოების ერთობლივ ძაღისხმევას საჭიროებს საღაც შეიძლება მნიშვნელოვანი როგორ შეასრულონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საერთაშორისო დონორებმა.\*

## რეკომენდაციები


- საქართველოს მთავრობამ შეაფასოს ენგურჲესის ექსპერტაციის და მისი გამომუშავების განაწილების ჩამოყალიბებული პრაქტიკა და დეტალურად განიხილოს ასეთ პირობებში ენგურჲესში გაზრდიდი ინვესტირების მიზანშეწონიდობა სხვა აღტერნატივებთან შედარებით.
- მოხდეს დიაღოგის არსებული არხებით აღნიშნული თემის აქტუალიზაცია აფხაზურ და რუსურ მხარეებთან .
- მოხდეს საერთაშორისო თანამეგობრობის ფართო ინფორმირება ენერგეტიკაში მოქმედი „მცოცავი ოკუპაციის“ შესახებ მათ შორის მაღარი საერთაშორისო ტრიბუნებიდან. გამოიძენოს ამ საკითხთან დაკავშირებით საერთაშორისო თანამეგობრობის მეტი ჩართულობის მექანიზმები;
- აუცილებელია მოქადაქების ინფორმირება და ღია დიაღოგი საფრთხეებსა და შესაძლებლებზე, როგორც აფხაზეთში ასევე დანარჩენ საქართველოში.
- გაძლიერდეს მუშაობა ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლების მიმართულებით. მათ შორის ერთიანი ენერგეტიკული სტრატეგიის შემუშავება და მის ფარგლებში ახადი მნიშვნელოვანი გენერაციის წყაროების განვითარება.
- აუცილებელია ყველა საშინაო და საგარეო რესურსის გამოყენება იმისთვის, რომ მოხდეს პრობრემის კონსერვაცია



\* 23 ივნისს ბრუსერში ჩატარდა აღმოსავალეთ პარტნიორობის ენერგეტიკული უსაფრთხოების პრატფორმის მორიგი შეხვედრა, სადაც ეს საკითხი, მოღოვაში ღნესტრისპირეთის ანა-დოგიურ პრობრემასთან ერთად გაყდერდა სწორედ არასამთავრობოების მიერ.

და სამართლიანი პარიტეტური პირობების მიღწევა, იმისათვის, რომ სამომავრო გაუმჯობესების შესაძლებლივ გაჩნდეს.

იმედს ვიტოვებთ, რომ ენერგეტიკის სამინისტროს ეკონომიკის სამინისტროსთან შეერთების შედეგად ამ პრობრემაზე დაწყებული მუშაობა გაძლიერდება და არ შესუსტდება.



## ენერგეტიკული გაერთიანება და საქართველო საზაფხულო სკოდა 2017

გიორგი მუხიოგულიშვილი  
„მსოფლიო გამოცდიდება საქართველოსთვის“

### შესავადი

2017 წელს საქართველო ენერგეტიკული გაერთიანების სრულყდებიანი წევრი გახდა. ენერგეტიკული გაერთიანება 2005 წელს ევროკავშირის ინიციატივით დაფუძნდა და მისი მიზანია ევროკავშირის შიდა ენერგეტიკული ბაზრის წესებისა და პრინციპების გავრცელება სამხრეთ-აღმოსავალზე ევროპისა და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებში ერთიანი ენერგობაზრის შექმნისათვის და წევრი ქვეყნების\*. ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. საქართველოს ენერგეტიკული სექტორის რეფორმირებისათვის და ევროკავშირის ენერგობაზრებთან ინტეგრაციისთვის ენერგეტიკული გაერთიანების წევრობა მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია. ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო წევრ ქვეყნებს სექტორის რეფორმირების პროცესში დახმარების სხვადასხვა მექანიზმს სთავაზობს. ასეთია, მაგარითად, სექტორში მომუშავე სპეციალისტებისთვის სასწავლო პროგრამების მოწყობა საზაფხულო სკოდის ფარგლებში.




\* ენერგეტიკული გაერთიანების 9 წევრი ქვეყანა: აღბანეთი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, კოსოვო, ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა, მაკედონია, მონტენეგრო, სერბეთი, უკრაინა, მოღდოვა, და საქართველო.

ევროკავშირს გაერთიანებაში ევროკომისია წარმოადგენს. ენერგეტიკულ გაერთაინებაში დამკვირვებლის სტატუსით იმყოფებიან: სომხეთი, ნორვეგია, თურქეთი და ბერძულები.

ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნომ საზაფხულო სკორის ორგანიზება 2016 წელიდან დაიწყო. საზაფხულო სკორა, რომელიც ერთი კვირა გრძელდება 40-მდე მონაშირეს სთავაზობს ენერგეტიკის სექტორზე ორიენტირებულ მუდტი-დისციპლინარულ, პრაქტიკული სამუშაოებით დატვირთულ პროგრამას. წერს საზაფხულო სკორა ყოფილი იუგოსდავიის რესპუბლიკა მაკედონიაში (ქადაქი ოპრილი), 26 აგვისტოდან 2 სექტემბრის პერიოდში მოეწყო. წერს გამართული სკორა ხუთ თემატურ ნაწილს მოიცავდა: ენერგეტიკის ეკონომიკა, ტექნიკური საკითხები, ენერგოპოლიტიკა, ეფექტური ენერგეტიკული კანონმდებლობა და მდგრადი განვითარება ენერგეტიკაში.

## ეკონომიკა


ენერგეტიკაში კონკურენტული და მონოპოლიური საქმიანობების გაყოფა, ბაზრების ღიბერადიგაცია და რეგულირების თავისებურებები



ედექტორენერგეტიკულ და გაზის სექტორებში კონკურენტული (წარმოება, მიწოდება) და მონოპოლიური (ქსედური ნაწილი-გადაცემა, განაწილება, ტრანსპორტირება) საქმიანობების განცადვება ევროდირექტივების ერთერთი ძირითადი მოთხოვნაა. გარდა იმისა, რომ საქმიანობების ასე დაყოფა ხერს უწყობს კონკურენციას ბაზარზე, ის ასევე სტიმულს აძრევს ენერგოკომპანიებს ჩადონ მეტი ინვესტიცია ქსედის განვითარებაში. კომპანიას, რომელიც ერთდოურად ახორციელებს ქსედურ საქმიანობას და წარმოებას ან მიწოდებას, ნაკვები ინტერესი აქვს ჩადოს მეტი ინვესტიცია ქსედის განვითარებისათვის, იმ კომპანიისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ ქსედურ საქმიანობას ეწევა. ქსედის განვითარება კი ერთიანი შიდა ბაზრის შესაქმენერად მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

ფინანსურულ დოკუმენტების სკორის დირექტორის, უან-მიშერ გრაშატის მიხედვით, ენერგეტიკაში რეგულირების განვითარება რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობს. პირველ ეტაპზე, ენერგიის ტრანსპორტირებისათვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა ვთარებოდა ქაოსურად და ენერგიის გატარებაზე წესდებოდა მონოპოლიური ფასი. შემდეგ ეტაპზე, დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს პირობებში, დაიწყო ქსედური ინფრასტრუქტურის განცადვება კონკურენტული ნაწილისაგან და წამახადისებელი მარეგულირებელი პრინციპებით ტარიფების დადგენა ქსედურ მომსახურებაზე. ამ ეტაპს პირობითად „ახარი ღვინო ძველ ბოთღში“ უწოდა უან-მიშერმა, რადგან ძველი მარეგულირებელი სისტემის ფარგლებში შემოტანიდ იქნა დამატებითი რეგულაციები სისტემის ეფექტურობის გასაუმჯობესებდად. მესამე ეტაპი, რომელსაც უკვე „ახარი ბოთღი ახარი ღვინისთვის“ ჰქვია გრაშტის მიხედვით, გუდისემობს განვითარებულ საცავო ბაზარს, სისტემის მართვის დახვეწიდი წესებითა და განვითარებული საბიუმო ბაზრის ინფრასტრუქტურით (საბარანსო ბაზარი, ერთი დღით ადრე ბაზარი, ქსედის

გადატვირთვის მართვის მექანიზმები, რეაგურ დროში ედექტროენერგიით ვაჭრობის მექანიზმი). რეგულირების მეოთხე ეტაპი, რომედიც ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად დაიწყო, მოიცავს ინოვაციური ტექნოლოგიების (ჭკვიანი ქსერები და მრიცხველები, ედექტრო ავტომობილები, როგორც ენერგიის შენახვის საშუალება, ენერგიის განახლებადი წყაროები და სხვა) მასობრივ გამოყენებას ენერგეტიკაში. მომხმარებლებს უკვე აქვთ საშუალება თვითონ გამოიმუშაონ ენერგია და მიაწოდონ ქსერს, გახდნენ ამავდროულად მწარმოებლებიც. ინოვაციების და ციფრული ტექნოლოგიების ერაში რთულია განსაზღვრა ენერგოსექტორის რეგულირებას რა როდი შეუძლია ითამაშოს, იქნება თუ არა საერთოდ საჭირო რეგულირება და როგორ განვითარდება საბაზრო ურთიერთობები მომავარში.



საქართველოში ენერგეტიკის რეგულირებას დამოუკიდებელი ორგანო - საქართველოს ენერგეტიკისა და წყარმარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია ახორციელებს. დღეს არსებული რეგულირების თავისებურებებით საქართველო გდაშატის კრასიფიკაციის მეორე ეტაპზე იმყოფება - „ახალი ღვინო ძველ ბოთღში“. ჩვენ ახდა ვიწყებთ კონკურენტული და მონოპოლიური საქმიანობების განცადვებებას ედექტროობის სექტორში და უკვე შემუშავებული წამახადისებები სატარიფო მეთოდოლოგიით ტარიფების დადგენას ქსერული კომპანიებსათვის. გამოწვევად რჩება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული სტრატეგიული მნიშვნელობის წარმოების ობიექტების (ენერგია, ვარდნიდი) და გადამცემი ქსერული ინფრასტრუქტურის გაყოფის საკითხი.

ევროპის ქვეყნების შიდა ენერგობაზრის შექმნა ეს არის ევროკომისიის მთავარი მიზანი, რომედიც გაზრდის ეფექტურობას, მომსახურების ხარისხს და მიწოდების უსაფრთხოებას.

## ტექნიკური საკითხები

თანამდეროვე მსოფლიოში ედექტროენერგიის შენახვის ტექნოლოგიები, ენერგოეფექტური და სუფთა ენერგიის განახლებადი წყაროები სწრაფი ტემპებით ვითარდება. ევროპის ქვეყნებში ედექტროენერგიის მოხმარებისა და მიწოდების დასაბადანსებრად ტრადიციულ ტექნოლოგიებთან კომბინაციაში ენერგიის განახლებადი წყაროები აქტიურად გამოიყენება, ასევე ინერგება თანამდეროვე ჭკვიანი ტექნოლოგიები (ჭკვიანი ქსერები და მრიცხველები) და საბოროლ სტაბილურობას მძღავრი სისტემის ოპერატორები უზრუნველყოფენ, რომედიც კოორდინირებულად მუშაობენ. ევროკავშირის ქვეყნებში ტრადიციულ გაზსადენებთან ერთად სწრაფად ვითარდება თხევადი გაზის (LNG) გადაზიდვის ტექნოლოგიები. ღიტვამ წარმატებულად მოახდინა გაზის იმპორტის წყაროების დივერსიფიკაცია, როცა სრუდად რუსეთზე დამოკიდებულმა 2014 წლიდან დაიწყო LNG-ით დატვირთული ტანკერების მიღება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან. ნავთობპროდუქტებზე მოთხოვნა მცირდება ედექტრო

და ენერგოეფექტური ტრანსპორტის გავრცელებასთან ერთად. თუმცა ნავთობის მარაგების შექმნა კვდავ რჩება ევროკავშირის ენერგოპორტიფიკის დღის წესრიგში.

ენერგეტიკული გაერთიანების ქვეყნები განსხვავდებიან ნავთობზე იმპორტდამოკიდებულებით. მოდიფიკაცია მეტად არის დამოკიდებული ნავთობის გარე წყაროებზე (80%-85 მეტით), მაშინ როცა ბოსნია-ჰერცეგოვინა მხოდოდ 20%-ით. საქართველოსთვის მნიშვნელოვანია დირექტივა 2009/119/EC, რომელიც ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგების მინიმალურ დონეს ადგენს ენერგეტიკული გაერთიანების წევრი ქვეყნებისთვის. დირექტივის მიხედვით ქვეყნები ვადებული არიან იქონიონ წმინდა იმპორტის საშუალო 90 დღიანი ან ქვეყნის შიდა მოხმარების საშუალო 61 დღიანი მარაგი, ამათგან, რომელიც უფრო მეტი იქნება. საქართველო, როგორც გაერთიანების სრუდულებიანი წევრი ვადებულია დააკმაყოფილოს აღნიშნული დირექტივის მოთხოვნები და შექმნას ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მარაგები 2023 წლის 1 იანვრისთვის.


2015 წლის 25 თებერვალს ევროკომისიამ მიიღო ახალი სტრატეგია „ენერგოკავშირი“, \* რომის მიზანია ენერგიის მდგრადი, უსაფრთხო და ხერმისაწვდომ ფასად მიწოდება ევროპის მომხმარებელებისათვის. სტრატეგიას ხუთი ძირითადი ამოცანა გააჩნია:

- ევროპისათვის ენერგიის მიწოდების წყაროების დივერსიფიკაცია და მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფა წევრი ქვეყნების სოდიდარობით და თანამშრომდობით;
- ევროპის მასშტაბით ენერგიის თავისუფარი გადაადგირება შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებით და ტექნიკური და მარეგულირებელი ბარიერების აღმოფხვრით;
- ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება, რაც ხედს შეუწყობს იმპორტისა და სათბურის აირების შემცირებას და დამატებითი სამუშაო ადგირების შექმნას;
- ეკონომიკის დეკარბონიზაცია - წიაღისეული საწვავის ენერგიის განახლებადი წყაროებით ჩანაცვლება;
- კვდევებისა და ინოვაციების ხედშეწყობა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

ევროპის ენერგოტრანზიციის პროცესში კვდევები და ინოვაციები არის მთავარი წამყვანი ძაღლი, რომელიც ხედს შეუწყობს ენერგოკავშირის სტრატეგიის მიზნის მიღწევას. ამას მხოდოდ მთავრობები ვერ უზრუნველყოფენ, საჭიროა საზოგადოების აქტიური მონაწილეობა და მათი გაძლიერება.

## ევროპის ენერგეტიკული პოდიტივა

ევროპის ენერგეტიკული პოდიტივის განვითარებაში ოთხი ძირითადი ეტაპი გამოიყოფა. პირველი ეტაპი 1950-იან წლებში იწყება და პირობითად „ომი და მშვიდობა“ შეიძლება ეწოდოს, რაღაც ხდება ევროპის ქვეყნების ინტეგრირება ქვანახშირისა და ფორადის ხედშეკრულების საფუძველზე, რომელსაც მოყვა ევრატომის შეთანხმება. ქვანახშირი და ატომური ენერგია აქტიურად გამოიყენებოდა როგორც



\* Building the Energy Union.  
ec.europa.eu

ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში, ისე სამხედრო შეიარაღებისას. ევროპის ქვეყნების ერთობლივი შეთანხმება ამ ენერგონეურსების გასაკონტროლებლად მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში მშვიდობიანი თანაცხოვრების გარანტად იქცა.

მეორე ეტაპი 1980-იან წელის დასასრულს დაიწყო და ძირითადად მოიცავდა ენერგო ბაზრების გიბერადიგიბაციას, ჰარმონიზაციასა და ერთიანი შიდა ენერგეტიკული ბაზრის განვითარებისათვის წინაპირობების მომზადებას. მესამე მხარის დაშვება ქსერგე, რეგულირება, ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანიების\* განცადვება და მომხმარებლებისათვის თავისუფადი არჩევანის მიცემა იყო ის ძირითადი ედემენტები რომელთაც მეორე ეტაპზე ჩაეყარათ საფუძველი.

მესამე ეტაპი 2005 წლიდან იწყება, როცა ახადი გამოწვევები ჩნდება ევროპის ენერგოპორტიფიკაში: ევროპის ქვეყნების ენერგიის იმპორტზე მზარდი დამოკიდებულება, უკრაინა რუსეთის კონფლიქტი, კიბელის ცვდიდება, ევროპის მასშტაბით ენერგოინფრასტრუქტურის განვითარებისა და ერთიანი ქსერგის კოდექსის შექმნის საჭიროება. ამ გამოწვევებთან გასამკრავებლად 2014 წელს ევროკომისიამ შეიმუშავა ენერგოკავშირის სტრატეგია.

მეოთხე ეტაპი ახდა დაიწყო, რომელიც ევროპაში ენერგოტრანზიციის კომპლექსურ პროცესში უფრო ამბიციური მიზნების მიღწევას ისახავს მიზნად. ინოვაციების ხედშეწყობით სუფთა, განახლებად და ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებზე გადასვდა ეკონომიკის ყველა სექტორში, ერთიანი შიდა პან-ევროპული ენერგობაზრის ჩამოყალიბება, თითქმის ნუდოვანი ენერგომოხმარების შენობების მშენებლობა და პარიზის შეთანხმების მოთხოვნების შესრულება ევროპის ენერგოპორტიფიკის მეოთხე ეტაპის ძირითადი ამოცანებია.

ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოს დირექტორის მოადგიდის, პროფესორ ბუშდეს მიხედვით ევროკავშირის ენერგეტიკული პოდიტიკის ძირითადი მიზნები შემდეგში მდგომარეობს: ეკონომიკის დეკარბონიზაცია, ენერგეტიკული სისტემების დეცენტრალიზაცია და ციფრული და ჰარმონიზირებული ტექნოლოგიების გამოყენება ენერგეტიკაში საიმედოობისა და მიწოდების უსაფრთხოების ასამაღლებლად.

## კანონმდებლობა

ევროპის ქვეყნების ინტეგრაციის პროცესი წარმოუდგენერია ერთიანი საკანონმდებლო ბაზის გარეშე, რომელშიც ასახულია საერთო ღირებულებები და პრინციპები, ინსტიტუციური სისტემა, საერთო საფრთხეებისა და გამოწვევების დაძღვევის მექანიზმები, წევრ ქვეყნებს შორის განაწილებული პასუხისმგებლობები და სუვერენული უფრებამოსიდებები. ერთიანი პოდიტიკა რომელიც საფუძვლად უდევს ინტეგრაციის პროცესს კანონმდებლობაში (ხედშეკრულებები, დირექტივები,




\* ვერტიკალურად ინტეგრირებული კომპანია ერთობრულად ფინანსურირებული არა-მოების ობიექტებს ან უზრუნველყოფს მიწოდებას.

რეგულაციები, გადაწყვეტილებები და ა.შ.) აისახება. ევროკავშირში სხვადასხვა მიმართულებით პოდიტიკის გატარების ექსკრუბიური უფდებამოსიღება შეიძღება გააჩნდეს ევროკავშირის ინსტიტუტებს, ან ამ ინსიტუტებსა და წევრ ქვეყნებს ერთად, ან მხოლოდ წევრ ქვეყნებს. მაგარითად, მონეტარული და სავაჭრო პოდიტიკის შემუშავება ევროკავშირის ინსტიტუტების ექსკრუბიურ უფდებამოსიღებას წარმოადგენს, შიდა ბაზრის განვითარება, გარემოსდაცვითი, სატრანსპორტო და ენერგეტიკული საკითხების შესახებ პოდიტიკის გატარება წევრი ქვეყნებისა და ევროკავშირის საერთო კომპეტენციაა, ხოლო განათღების, კულტურის, კანდაცვისა და ტურიზმის პოდიტიკების შემუშავება წევრი ქვეყნების სუვერენულ უფდებას წარმოადგენს. საბოროლო ეს პოდიტიკები ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების კანონმდებრობაში აისახება. ბოლო ათწევდები ენერგეტიკა ევროკავშირის საგარეო და საშინაო პოდიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა, გამომდინარე მისი კრიტიკული გავრცელება ეკონომიკის სხვადასხვა დარგებზე და ერთიანი ევროპის უსაფრთხოებაზე. შესაბამისად, ენერგეტიკული პოდიტიკის შემუშავება ნებ-ნება გადადის ევროკავშირის ინსტიტუტების კომპეტენციაში. ევროკავშირის დამფუძნებელი ხედშეკრულება\*, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც კონსტიტუცია, მისი 194-ე მუხლი ენერგეტიკული პოდიტიკის ძირითად პრინციპებს აყადიბებს, როგორიცაა:

- ერთიანი ენერგეტიკული ბაზრის ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- ენერგიის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ენერგოეფექტურობის ხედშეწყობა და ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარება;
- წევრი ქვეყნების ენერგოინფრასტრუქტურით ურთიერთდაკავშირება.

ევროკავშირის კანონმდებრობაში გამოიყენება ასევე რეგულაციები და დირექტივები. რეგულაციებში მოცემული მოთხოვნების გადმოტანა ეროვნულ კანონმდებრობებში სავარდებულოა ყველა წევრი ქვეყნისათვის მისი გამოქვეყნებისთანავე. დირექტივისაგან განსხვავებით, რეგულაციის ინტერპრეტაცია ქვეყნის კანონმდებრობაში მისი ეროვნული გარემოებებიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე დაუშვებელია. შესაბამისად, წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ ეროვნული კანონმდებრობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის დამფუძნებელ ხედშეკრულებასთან, რეგულაციებთან და დირექტივებთან ისე რომ არ ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. კონფიდენციალურობის შემთხვევაში უპირატესობა ხედშეკრულებასა და რეგულაციებს ენიჭებათ.

ენერგეტიკული გაერთიანების ქვეყნებში ევროკავშირის ენერგეტიკული კანონმდებრობის გადმოტანა დროთა განმავრდობაში ხდება. მასშემდეგრაც ევროკავშირის ქვეყნები ეროვნულ კანონმდებრობებში ასახავენ რეგულაციებისა და დირექტივების მოთხოვნებს, მათი გამოცდიდების



\* Treaty on the Functioning of the European Union (Lisbon, 2007)

გათვალისწინებით ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნოც იწყებს შესაბამისი დირექტივებისა და რეგულაციების გადმოტანაზე მუშაობას. ქვემოთ მოცემული ცხრილი კარგად ასახავს, თუ როგორ შესაბამისობაშია ევროკავშირის დამფუძნებელი ხედშეკრულების პრინციპები და ენერგეტიკული გაერთიანების ქვეყნებისათვის სავარდებულო დირექტივები და რეგულაციები. ცხრიდში ასევე მოცემულია საქართველოსთვის ამ ვადებულებების შესრულების ვადები.

კორპუსის სელშეკრულება (მუხლი 194) - ენერგეტიკული ვადები	ენერგეტიკული საქართველოსთვის ენერგეტიკული ვადები <sup>1</sup>	გაერთიანების სავალდებულო რეგულაციები და დირექტივები <sup>2</sup>
ერთიანი ენერგეტიკული ბაზის ფუნქციონირების უზრუნველყოფა	1. დირექტივა 2009/72/EC ელექტროენერგიის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ (31 დეკემბერი, 2018) 2. დირექტივა 2009/73/EC ბუნებრივი აირის შიდა ბაზრისათვის საერთო წესების შესახებ (31 დეკემბერი, 2020) 3. რეგულაცია 714/2009 (EC) ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გაცვლის სისტემებზე დამვების პირობების შესახებ (31 დეკემბერი, 2018) 4. რეგულაცია (EC) 715/2009 ბუნებრივი აირის გადამცემ ქსელებზე დამვების პირობების შესახებ (31 დეკემბერი, 2020) 5. დირექტივა 2008/92/EC საბოლოო მომხმარებლებისათვის გაზისა და ელექტროენერგიის ფასების გამჭვირვალობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით (31 დეკემბერი, 2017)	
ენერგიის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;	1. დირექტივა 2009/119/EC წევრ ქვენებზე წედლი ნავთობის ან/და ნავთობპროდუქტების მინიმალური სარეზერვო საცავების უზრუნველყოფის ვალდებულების გავრცელების შესახებ (1 იანვარი, 2023) 2. დირექტივა 2004/67/EC ბუნებრივი აირის მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ (31 დეკემბერი, 2020) 3. დირექტივა 2005/89/EC ელექტროენერგიის მიწოდებისა და ინფრასტრუქტურაში ინვესტირების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების შესახებ (31 დეკემბერი, 2019)	
ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა და ენერგიის განახლებადი წყაროების განვითარება;	1. დირექტივა 2012/27/EU ენერგოეფექტურობის შესახებ (31 დეკემბერი, 2018) 2. დირექტივა 2010/31/EU შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ (30 ოქტომბერი, 2019) 3. დირექტივა 2010/30/EU ეტიკეტირების და პროდუქციის შესახებ სხვა სტანდარტული ინფორმაციის მითითებით (31 დეკემბერი, 2018) 4. დირექტივა 2009/28/EC განახლებადი ენერგიის წყაროებიდან ენერგიის გამოყენების ხელშეწყობის შესახებ (31 დეკემბერი, 2018)	
წევრი ქვეყნების ენერგოინფრასტრუქტურით ურთიერთდაკავშირება	1. რეგულაცია 714/2009 (EC) ელექტროენერგიის ტრანსსასაზღვრო გაცვლის სისტემებზე დამვების პირობების შესახებ (31 დეკემბერი, 2018) 2. რეგულაცია (EC) 715/2009 ბუნებრივი აირის გადამცემ ქსელებზე დამვების პირობების შესახებ (31 დეკემბერი, 2020)	

გარდა ამისა საქართველოსთვის სავარდებულოა ასევე გარემოსდაცვითი და სტატისტიკის შესახებ რიგი დირექტივები და რეგულაციები, რომებიც მოცემულია ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხედშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმში.

### იმიტირებული ქეისი - ქსედგე მესამე მხარის დაშვების შეზღუდვა

პირობითად, ორი ქვეყანა წდებია ვაჭრობს ედექტროენერგიით



\* ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხედშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმი.

\*\* მესამე ენერგეტიკული პატეკი მოიცავს დირექტივებს 2009/72 და 2009/73, რეგულაციებს 714/2009 და 715/2009

ერთმანეთთან, პირვედი მდიდარია ჰიდრორესურსებით მეორე კი იმპორტს ახორციელებს მეზობელი ქვეყნიდან. ენერგეტიკული გაერთიანების მოთხოვნების შესაბამისად, ორივემ გადმოიტანა ეროვნულ კანონმდებლობაში მესამე ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნები. თუმცა, 2017 წელს იანვარში უჩვეულოდ ცივი ზამთრისა და ჰიდროენერგიის წარმოების სეზონურობიდან გამომდინარე პირვედი ქვეყნის მთავრობამ გადაწყვიტა შეწყვიტოს ექსპორტის მიზნით ყოველგვარი დაშვება გადამცემ ქსერზე.

ამ გადაწყვეტილებით გაერთიანების წევრმა ქვეყანამ დაარღვია რეგულაცია 714/2009/EC და დირექტივა 2009/72/EC-ის ერთ-ერთი ფუნდამენტური პირობა და არ მისცა მესამე მხარეს ქსერზე დაშვების უფდება. მსგავსი ქმედება დაუშვებელია ენერგეტიკული გაერთიანების წევრ ქვეყნებს შორის, რომელიც ვაჭრობენ ენრთამნეთთან ედექტორენერგიით, და სადაც ფუნქციონირებს ბაზარი და ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურა.


ედექტოროგადამცემი და გამანაწილებელი ქსერები ბუნებრივი მონოპოლიებია, რომელიც უნდა რეგულირდებოდეს მარეგულირების მიერ. მომხმარებელებს თავისუფდად უნდა შეეძლოთ ქსერზე დაშვება და ედექტოროენერგიის მიღება, რაც კონკურენტული ბაზრის წინაპირობაა. შესაბამისად, მსგავს შემთხვევებში ენერგეტიკული გაერთიანების სამდივნო, ევროკომისია და წევრი ქვეყნების შესაბამისი ინსტიტუტები (სამინისტრო, მარეგულირებელი, ქსერის ოპერატორი, ექსპორტიორი, იმპორტიორი და ა.შ.) ერთად განიხილავენ საკითხს და დარღვევის შემთხვევაში წევრ ქვეყანას პრობრემის სასწრაფოდ მოგვარებას სთხოვენ.

მიუხედავად საკითხის აქტუალობისა მსგავსი შემთხვევა ენერგეტიკული გაერთიანების ქვეყნებში ჰარ არ დაფიქსირებულა. ასეთი ქეისების განხილვით სამდივნო წინასწარ აფრთხილებს წევრ ქვეყნებს მოსაღოლნები შედეგების შესახებ.

## მდგრადი განვითარება და ენერგეტიკა


ენერგეტიკა მნიშვნელოვან გავრენას ახდენს გარემოზე, ეს იქნება ენერგეტიკული პროექტების განვითარებით გარემოზე მიყენებული პირდაპირი ზიანი თუ წიაღისეული საწვავის წვით ატმოსფეროში გაფრქვეული სათბურის აირები.

ევროკავშირისა და ენერგეტიკული გაერთიანების ქვეყნებში სავარდებულოა ენერგეტიკული პორტფელის განხორციელებამდე მისი გარემოზე ზემოქმედების შეფასება. გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში დგინდება პროექტის მიერ გარემოზე შესაძლო ზიანის მასშტაბი და, შესაბამისად, მუშავდება შემარბილებელი ღონისძიებები. საზოგადოების მონაწილეობა ენერგოპროექტის განვითარების პროცესში მნიშვნელოვანია, შემდგომში გაუთვარისწინებელი სოციალური



ეწერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს შეერთების შესახებ ოქმის მიხედვით საქართველოსთვის სავალდებულოა შემდეგი დირექტივების შესრულება, მოცემულ ვადებში:

1. დირექტივა 85/337/EEC კონკურეტულისახელმწიფოდა კერძოპროექტების გარემოზე ზეგავლენის შეფასების შესახებ (2017 წლის 1 სექტემბერი)
2. დირექტივა 2001/80/EC წვის დიდი ქარხნებიდან ზოგიერთი დამაბინბურებლის ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების შეზღუდვის შესახებ (2018 წლის 31 დეკემბერი)
3. დირექტივა 79/409/EC, მუხლი 4(2), გარეული ფრინველების დაცვის შესახებ (2019 წლის 1 სექტემბერი)
4. დირექტივა 2010/75/EU-ის მუხლი 72(3)-(4) სამრეწველო ემისიების შესახებ (2019 წლის 31 დეკემბერი)
5. დირექტივა 1999/32/EC ზოგიერთ თხევად საწვავში გოგირდის შემცველობის შემცირების შესახებ (2021 წლის 1 სექტემბერი)



წიაღისეუდი საწვავის წვისას ატმოსფეროში სათბურის აირების გაფრქვევის შესამცირებდად ევროკავშირის ქვეყნებში სხვადასხვა მექანიზმი მოქმედებს, მათ შორის რეგულაციები და მინიმარუო სტანდარტები ტექნოლოგიებზე; წესდება ენერგოსაწარმოებისთვის სათბურის აირების გაფრქვევებზე ზედა ზღვარი და ფუნქციონირებს ემისიების სავაჭრო ბაზარი. მინიმარუო სტანდარტების შემუშავების პროცესში ხდება სხვადასხვა დაინტერესებუდი მხარეების (კვდევითი ცენტრები, ინდუსტრიული კომპანიები, სახელმწიფო ინსტიუტები და სხვა) მიერ საუკეთესო ხერმისაწვდომი ტექნოლოგიების\* გამოვდენა, ტესტირება და დანერგვა.

2005 წერს კრიმატის ცვდიდების შერბიდების მიზნით ევროკავშირში შეიქმნა ემისიებით ვაჭრობის მექანიზმი, რომელიც მსოფლიო ყველაზე დიდ სისტემად ითვრდება ამ მიმართულებით. საწარმოები, როგორიც სათბურის აირების გაფრქვევის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ უწესდებათ ემისიების ზედა ზღვარი და ამ ზვარზე ნაკვების ან მეტის გაფრქვევის შემთხვევაში ბაზარზე იწყებენ ვაჭრობას. მიუხედავად იმისა, რომ ბაზარმა საწყის ეტაპზე კარგად იმუშავა, დროთა განმავრდობაში მიწოდების ზრდამ ფასების საგრძნობი შემცირება გამოიწვია. დღეისათვის მიღის მუშაობა ახად საბაზრო მექანიზმების შემუშავებაზე, რომელიც ხერს შეუწყობს პარიზის კრიმატის შესახებ შეთანხმების მიზნების მიღწევას.

## დასკვნა

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა 2016 წერს და გახდა ენერგეტიკული გაერთიანების სრულუფდებიანი წევრი. ეს გვაძღვეს შესაძღებრობას განვახორციეროთ ძირეული რეფორმები ენერგეტიკაში, დავნერგოთ თანამედროვე და ეფექტური ტექნოლოგიები, ხედი შევუწყოთ საკუთარი ენერგორესურსების ათვისებას, მოვიზიდოთ სტრატეგიული ინვესტორები და გავხდეთ ერთიანი ევროპული ენერგეტიკული ბაზრის ნაწილი.

\* Best Available Techniques (BAT)





“მსოფლიო გამოცდილება  
საქართველოსთვის” (WEG) არის  
დამოუკიდებელი, არამომგვაბიანი  
ანალიტიკური ცენტრი, რომელიც 2006  
წლიდან მუშაობს ენერგეტიკისა და გარემოს  
დაცვის საკითხებზე საქართველოში. WEG-ის  
მიზანია ენერგეტიკული უსაფრთხოების,  
ეკონომიკური მდგრადობის და  
დემოკრატიული განვითარების გაძლიერება  
საქართველოში ქვეყნის ეკონომიკულ და  
ეკონამიკურ სტრუქტურები  
ინტეგრაციის ხელშეწყობის გზით.

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის

[www.weg.ge](http://www.weg.ge)